ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 27 თებერვალი, 2017 №48 (7283) ფასი: 50 თეთრი

## როკი და აფხაზეთის რკინიგზა იხსნება
გვ.4



27 თებერვლიდან
ვიქტორ ჰიუგო
საბრალონი
ტომი II
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# სოსო ოხანაშვილი: „ვიღაცას ციანიდის საქმესთან ჩემი დაკავშირება უნდოდა“




## რატომ გადადგა პატრიარქის დაცვის უფროსი
გვ.2

„ბევრად უფრო სკანდალური ინფორმაციები არსებობს, რომლებზეც ახლა საუბარს არ ვაპირებ“

## სოსო ცისკარიშვილი: „პროკურატურას ეშინია იმ სიმართლის, რომელსაც მამა გიორგი ფლობს“
გვ.5






## ვის დარჩება რუსთავი 2
გვ.2

## ნარმანიამ პრაღასა და ბუდაპეშტს გაასწრო
გვ.5



## გია გაჩეჩილაძე: „ნაციონალები მობილური ოპერატორებისთვის გასალების გადაცემას უჭერენ მხარს“
გვ.3





## სოსო შატბერაშვილი: „ხელისუფლებამ სილატაკეს უნდა მიხედოს“
გვ.4

„ქართულმა ოცნებამ“ ოდიოზური ფიგურები დააწინაურა“



ISSN 1987-9385

## „მე მასში ვხედავდი არა მხოლოდ მოწინააღმდეგეს, არამედ ადამიანსაც“
გვ.3

ალასანია ჩურკინთან ურთიერთობებს იხსენებს



## გელა ნიკოლაიშვილი: „ჩემს ყოფილ კლიენტს ნარკოტიკი ჩაუდეს“



## პოლიციამ გატაცებული მამაკაცი გაათავისუფლა
გვ.7

სპეცოპერაცია სამგორში

# სოსო ოხანაშვილი: „ვიღაცას ციანიდის საქმესთან ჩემი დაკავშირება უნდოდა“

## რატომ გადადგა პატრიარქის დაცვის უფროსი

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმისა და საპატრიარქოს გარშემო სკანდალები გრძელდება. დაკავებული მამა გიორგი მამალაძე პროკურატურას რამდენიმე დღის წინ უნდა დაეკითხა, მაგრამ დაკითხვა გადაიდო. პროკურატურა გვპირდება, რომ მამა გიორგი მამალაძეს დღეს, 27 თებერვალს დაკითხავენ.



## „ბევრად უფრო სკანდალური ინფორმაციები არსებობს, რომლებზეც ახლა საუბარს არ ვაპირებ“

დაკითხვის გადადება საეჭვოდ მიიჩნია დაკავებულის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა. მან ისიც თქვა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. რამიშვილმა დახმარებისთვის სახალხო დამცველსაც კი მიმართა.

ადვოკატმა ისიც კი განაცხადა, რომ მას დაცვის ქვეშ მყოფი უკვე გამოკითხული ჰყავს და, რამე რომ მოხდეს, მასალებს გაასაჯაროებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ დღეებში დაიკითხება საპატრიარქოს მდივან-რეფერენტი შორენა თეთრუაშვილი. ერთ-ერთი ვერსიით, დეკანოზს მისი მოწამვლის მომზადება ედება ბრალად.

დალაგებული ვითარება არც თავად საპატრიარქოშია. ამ დღეებში თანამდებობები დატოვეს პატრიარქის პრესმდივანმა მამა მიქაელ ბოტკოველმა და დაცვის სამსახურის უფროსმა სოსო ოხანაშვილმა.

ეს უკანასკნელი პატრიარქის ძმისშვილის, მეუფე დიმიტრის სიძეა და საპატრიარქოში ნდობით სარგებლობდა.

სკანდალში ოხანაშვილი პირველად რამდენიმე თვის წინ გაეხვია. ეს მაშინ მოხდა, როცა საპატრიარქოში არსებული დაპირისპირება პირველად გამოვიდა გარეთ.

ოხანაშვილს პატრიარქის ქორეპისკოპოსი იაკობი დაუპირისპირდა. ბოდბელმა მიტროპოლიტმა განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებდა, რათა ოხანაშვილი თანამდებობიდან გადაეყენებინათ. დაუზუსტებელი ინფორმაციით, მათ შორის სიტყვიერი დაპირისპირებაც მოხდა.

ოხანაშვილის გადაყენების საკითხი მეუფე იაკობმა სინოდის სხდომაზეც დააყენა, მაგრამ უშედეგოდ.

არადა, წლების განმავლობაში მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. მეუფე იაკობი მისი შვილის ნათლიაა.

სინოდის სხდომის შემდეგ ოხანაშვილის გვარი აღარ გაჟღერებულა. მასზე ციანიდის საქმის შემდეგ ალაპარაკდნენ.

რუსთავი 2-თან საუბარში ოხანაშვილი ამბობს, რომ იყო მცდელობა, ეს საქმე მისთვისაც დაებრალებინათ.

10 თებერვალს, როცა პროკურატურამ მამა გიორგი მამალაძე დააკავა, პატრიარქი უკვე ბერლინში იმყოფებოდა. მასთან ერთად იყო მისი დაცვის უფროსიც. მამა გიორგი მამალაძე ოხანაშვილის მეგობარია და ის თბილისში ჩამოიყვანეს დაკითხვაზე.

აღსანიშნავია, რომ იმ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია მისი დაკავების შესახებ. ოხანაშვილი ამბობს, რომ ვიღაცას მართლაც სურდა მისი დაკავება.

მამა გიორგის დაკავების შესახებ პატრიარქს მან მიაწოდა ინფორმაცია, თუმცა არ უთქვამს, რომ დაკავებულს უწმინდესის მოწამვლა სურდა.

რუსთავი 2-ის ინფორმაციით, ამის შესახებ პატრიარქს მამა დავით ჭინჭარაულმა უთხრა. ამ ინფორმაციას ოხანაშვილი არ ადასტურებს, მაგრამ არც უარყოფს.

ის ამბობს, რომ მისი თბილისში წამოსვლის შემდეგ პატრიარქს ვიღაცები ძალიან ცუდ ინფორმაციებს აწვდიდნენ.

– სხვადასხვა რამეებს ეუბნებოდნენ, იმაზეც მიანიშნებდნენ, რომ თითქოს რაღაცაში მე ვიყავი გარეული. ამან პატრიარქზე ცუდად იმოქმედა. გერმანელი პროფესორი ოპერაციის გადადებასაც კი აპირებდა, – ამბობს ოხანაშვილი.

ის არ გამორიცხავს, რომ ვიღაცა შეგნებულად აღიზიანებდა პატრიარქს, რადგან მღვდელმთავრებმა თავიდანვე იცოდნენ, რომ მამალაძეს სხვა პირის მოწამვლის მცდელობა ედებოდა ბრალად.

სოსო ოხანაშვილს გაუთქმელობის ხელწერილი აქვს დადებული და საქმის დეტალებზე გახსნილად ვერ საუბრობს, სამაგიეროდ, დანამდვილებით ამტკიცებს, რომ გარე ძალები ეკლესიის განადგურებას აპირებენ და ციანიდის საქმეც ამ გეგმის ნაწილია. ის არც იმას გამორიცხავს, რომ პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლაც მიმდინარეობდეს.

– ეს ყველაფერი გარე ძალების მიერ იმართება, – ამბობს ოხანაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დღეებში უამრავი სკანდალური ინფორმაცია გავრცელდა, ის ამბობს, რომ ეს ყველაფერი არ არის.

– ბევრად უფრო სკანდალური ინფორმაციებია, რომლებზეც ახლა საუბარს არ ვაპირებ. მე დიდი ხანი ვიყავი პატრიარქის დაცვის უფროსი და ბევრი რამე ვიცი, – აღნიშნავს ოხანაშვილი რუსთავი 2-თან საუბარში.

თანამდებობიდან ის თავისი სურვილით წავიდა, მაგრამ ამბობს, რომ უსამართლობას შეეწირა. პატრიარქის ყოფილი მცველი არ აკონკრეტებს, ვინ ებრძოდა მას.

ჟურნალისტის კითხვას, იყო თუ არა ეს შორენა თეთრუაშვილი, პირდაპირ არ პასუხობს, მხოლოდ იმას ამბობს, რომ მასთან კარგი ურთიერთობა არ ჰქონია.

ოხანაშვილი ვარაუდობს, რომ ვიღაცებს არ მოსწონდათ, ის რომ მხოლოდ პატრიარქს ექვემდებარებოდა.

– ვიღაცას უნდოდა ჩემს საქმეებში ჩარევა, – აღნიშნა დაცვის ყოფილმა უფროსმა.

თანამდებობიდან წასვლის გადაწყვეტილება მან პირადად პატრიარქთან შეათანხმა.

– მივედი და მისგან ავიღე კურთხევა. მის დაცვაში 14 წელი ვიმუშავე და ახლა მის გარეშე ძალიან გამიჭირდება, – აღნიშნავს ის.

თავიდან მის შემცვლელად ვანო კობაიძე მოიაზრებოდა, რომელიც უწმინდესის ნათესავია. საბოლოოდ არჩევანი ზურაბ ბუჩუკურზე შეჩერდა, რომელიც დაცვის წევრებმა ამ პოსტზე ფარული კენჭისყრით აირჩიეს.

ბუჩუკური პატრიარქის დაცვაში 10 წელია მსახურობს და ოხანაშვილის მოადგილე იყო.

# ვის დარჩება რუსთავი 2

ტელეკომპანია რუსთავი 2-სთვის სამი ჯგუფი დავობს: მიხეილ სააკაშვილის ახლო მეგობრები – ძმები ლევან და გიორგი ყარამანიშვილები, რომლებიც ტელევიზიას 2012 წლიდან მართავენ; 1994 წელს რუსთავი 2-ის დამფუძნებლები: დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე; ისინი ტელევიზიას 2004 წლამდე ფლობდნენ და ქიბარ ხალვაში, რომელსაც რუსთავი 2-ის წილები 2004-06 წლებში ეკუთვნოდა.




2015 წლის 2 ნოემბრისა და 2016 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებებით, სასამართლომ რუსთავი 2-ის აქციათა 100% სწორედ ქიბარ ხალვაშს დაუბრუნა, თუმცა, აღსრულების მუხლის შეჩერების გამო, ტელევიზიას ისევ ძმები ყარამანიშვილები განაგებენ.

ამ რეზონანსულ საქმეს ამჟამად საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განიხილავს.

რუსთავი 2-ის დირექტორის მოადგილე, ჟურნალისტი ზაალ უდუმაშვილი ამბობს, რომ ხელისუფლება ტოტალურ ზეწოლას ახორციელებს სასამართლოზე, რათა ტელევიზია ისევ ქიბარ ხალვაშს ჩაუგდოს ხელში და სარედაქციო პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალოს.

– რუსთავი 2-ის საკითხის გადაწყვეტა ბოლო სტადიაშია და დღეების ამბავია, რომ გამოცხადდეს საბოლოო გადაწყვეტილება ჩვენს საქმეზე. მე მინდა მივმართო ხელისუფლებას – თქვენ თუ გგონიათ, რომ რუსთავი 2-ს ხონჩაზე მიიღებთ, ძალიან ცდებით. რუსთავი 2-ში 1.000-მდე ადამიანი მუშაობს, რომელიც სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლებს ამ ტელევიზიისთვის. არცერთი ნაბიჯით უკან არავინ დაიხევს. ეს ტელევიზია იმუშავებს ისე, როგორც აქამდე მუშაობდა, – აცხადებს ზაალ უდუმაშვილი.

ძმებმა ყარამანიშვილებმა უზენაეს სასამართლოს 2016 წლის ივნისში მიმართეს, მას შემდეგ, რაც მათ დავა რუსთავი 2-სთვის, ქიბარ ხალვაშთან სამოქალაქოს მერე, სააპელაციო სასამართლოშიც წააგეს.

უზენაესმა სასამართლომ ყარამანიშვილების საკასაციო საჩივარი დასაშვებად 9 სექტემბერს სცნო. სამი მოსამართლის შემადგენლობით, უზენაესი სასამართლოს პალატამ, რუსთავი 2-ის საქმის არსებითად განხილვა 2016 წლის ნოემბრის ბოლოს დაიწყო, თუმცა მალევე, ეს საქმე უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას გადაეცა.

უზენაეს სასამართლოს დიდ პალატას საქმის განსახილველად კანონით განსაზღვრული 6-თვიანი ვადა ჰქონდა, რომელიც 2017 წლის 25 იანვარს ამოიწურა. იმ დროისთვის სასამართლოს კოლეგიაც კი არ იყო დაკომპლექტებული. ძმები ყარამანიშვილების დაცვის მხრიდან, ბოლო საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების მომენტიდან, ვადა კი უკვე 10 თებერვალს ამოიწურა.

რატომ დაირღვა ეს ვადები და რამდენი ხანი დასჭირდება დიდ პალატას რუსთავი 2-ის კუთვნილებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად, უცნობია.

ამ თემაზე კომენტარი არ გააკეთა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძემ, რომელიც თავად დიდი პალატის წევრია.

– სამართალწარმოების მიმდინარე საქმეებზე კომენტარს არ გავაკეთებ, – განაცხადა მან.

გერმანიაში მცხოვრებ ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის დაცვის მხარე კი მიიჩნევს, რომ ტელევიზიის გათიშვითა და ხმაურიანი აქციების მოწყობით ძმები ყარამანიშვილები და მათ უკან მდგომი პოლიტიკური ძალები სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ.

– თუ სასამართლო მოექცა ზეგავლენის ქვეშ, რისი ნიშნებიც უკვე ჩანს, ეს არამარტო ამ კონკრეტული საქმისთვის იქნება საზიანო, არამედ საბოლოოდ დაასამარებს სამართლიანობის აღდგენის იდეას. სასამართლომ არ უნდა დაუშვას მის საქმიანობაში უკანონო ჩარევა და არ უნდა იქცეს ფსიქოლოგიური ტერორის მსხვერპლად, – აცხადებს ქიბარ ხალვაშის ადვოკატი პაატა სალია.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია გაჩეჩილაძე: „ნაციონალები მობილური ოპერატორებისთვის გასაღების გადაცემას უჭერენ მხარს“

გულიკო ბალაძე

პარლამენტში მოსმენების შესახებ კანონის განხილვების პროცესში დიდი ვნებათაღელვა იყო. „ახალი თაობა“ ფრაქცია „ქართული ოცნება – მწვანეების“ ლიდერ გიორგი გაჩეჩილაძეს ესაუბრა.

*– ბატონო გიორგი, მოსმენების შესახებ კანონს მხარს უჭერთ?*

– რა თქმა უნდა.

*– მთავარი რა არის, რის გამოც მხარს უჭერთ მოსმენების შესახებ კანონს?*

– მოსმენების კანონი დაკავშირებულია ევროკავშირის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან, საქართველოს ეკონომიკურ სწრაფ განვითარებასა და ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებასთან.

*– ნაციონალები ამ კანონს რომ აკრიტიკებენ?*

– ნაცმოძრაობამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა საქართველოს დემოკრატია და თავისუფლება. საზოგადოებამ იცის, რა ხდებოდა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში. დღეს კი ისინი აქეთ გვიტევენ. შთაბეჭდილება მრჩება, კანიბალი რომ ადამიანების ჯანსაღ კვებაზე იზრუნებს, ისეთი პოზიცია აქვთ.

*– ნაციონალებს რაღაც არგუმენტები ხომ აქვთ?*

– რა არგუმენტები უნდა ჰქონდეთ. მათი ყველა გამოსვლა ზოგადია. მოსმენების კანონთან დაკავშირებით არაფერს კონკრეტულს არ ამბობენ. აღნიშნული კანონპროექტი სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებს ეხება. მასში პირდაპირ წერია, რომ ამ კანონპროექტის მოწოდებაა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგის, სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების აღკვეთა და მათზე ოპერატიული რეაგირება.

ჩვენი მოწინააღმდეგეები კი ცდილობენ, ისეთი პოზიცია შეიმუშაონ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემა დაასუსტონ.

*– რატომ უნდა უნდოდეთ ნაციონალებსა და მათ განაყოფებს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის დასუსტება?*

– ეს მე შემთხვევით არ მითქვამს. წინა პარლამენტში ამ კანონის განხილვის პროცესში ნაციონალური მოძრაობა ისეთ პროექტს უჭერდა მხარს, რომელიც უკავშირდებოდა მობილური ოპერატორებისთვის გასაღების გადაცემას.

*– ამაში განსაკუთრებული რა არის?*

– ნაცმოძრაობამ შემოიყვანა საქართველოში რუსული გიგანტი მობილური ოპერატორის სახით, რომელსაც საერთაშორისო დონეზე „მობიტელი“ ჰქვია. ეს „მობიტელი“ არის „ალფა ჯგუფის“ შემადგენელი ნაწილი, რომელიც კრემლთან ყველაზე დაახლოებული ჯგუფია.

ამგვარი სუბიექტისთვის მოსმენების გასაღების გადაცემა უნდოდათ იმ პირობებში, როდესაც საქართველოში, ჩვენს ტერიტორიაზე, უცხო ქვეყნის სამხედრო ქვედანაყოფები და სპეცსამსახურები დგანან, იმ პირობებში, როდესაც საქართველოში ხორციელდება უზარმაზარი გეოპოლიტიკური პროექტები, რომელიც დაკავშირებულია ევროკავშირის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან, საქართველოს ეკონომიკურ სწრაფ განვითარებასა და ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებასთან. ასეთ პირობებში ნაცები მხარს უჭერდნენ რუსული კომპანიისათვის გასაღების გადაცემას.

პარლამენტში ტრიბუნაზე გამოკრულია პლაკატი რუსთავი 2-ის ლოგოთი და მედიაზე ზემოქმედებაა დაგმობილი.

ქვეყანამ უნდა იცოდეს, რომ რუსთავი 2-ის საკონტროლო პაკეტის მფლობელი სწორედ ამ „მობიტელის“ საქართველოს წარმომადგენლობის მოწილეა.



# „მე მასში ვხედავდი არა მხოლოდ მოწინააღმდეგეს, არამედ ადამიანსაც“

## ალასანია ჩურკინთან ურთიერთობებს იხსენებს



გასულ კვირას გაეროში რუსეთის წარმომადგენელ ვიტალი ჩურკინის გარდაცვალებას ტელეარხ დოჟდის ეთერში ირაკლი ალასანია გამოეხმაურა და რუს დიპლომატთან მრავალწლიანი ურთიერთობა გაიხსენა.

ალასანია ამბობს, რომ მას ვიტალი ჩურკინთან ოჯახებით ახლობლობაც აკავშირებდა.

– მე შემიძლია, პატიოსნად ვთქვა, რომ ეს ადამიანი იყო ძალიან პროფესიონალი დიპლომატი. როგორც დიპლომატს, მას ჰქონდა ძალიან მაღალი კვალიფიკაცია. ჩვენ ვიყავით მოწინააღმდეგეები, რადგან რუსეთის მხრიდან საქართველოსთან მიმართებით მიმდინარეობდა აგრესიული ომი. ჩვენ ბოლომდე ვიყავით უშიშროების საბჭოში, მე ვიცავდი ჩემს სამშობლოს, ის კი ასრულებდა საკუთარი მთავრობის დავალებას, მაგრამ, ამავე დროს, მე მასში ვხედავდი ადამიანს, რომელიც ძალიან განიცდიდა იმ პრობლემებს, რომლებითაც ასე იყო გაჯერებული ქართულ-რუსული ურთიერთობები.

ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, როგორმე გამოვმძვრალიყავით ამ სიტუაციიდან. ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო, მაგრამ მე მასში ვხედავდი არა მხოლოდ მოწინააღმდეგეს, ოპონენტს, არამედ ადამიანსაც.

უშიშროების საბჭოში გამართული ძალიან მძიმე შეხვედრების შემდეგ კულუარებში ბევრს ვსაუბრობდით, თუ როგორ შეიძლებოდა ამ სიტუაციიდან გამოსვლა. ვხედავდი, რომ მას უნდოდა და ცდილობდა, როგორც შეეძლო, ეს ურთიერთობები არ გამოსულიყო სამხედრო წინააღმდეგობების ჩარჩოებიდან, მაგრამ, მოხდა ის, რაც მოხდა, განხორციელდა აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ ამის შემდეგაც ვაგრძელებდით ურთიერთობას, – აღნიშნა ალასანიამ.

ირაკლი ალასანიამ ნიუ იორკში ჩურკინთან შეხვედრა გაიხსენა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ამბობს, რომ როგორც მას, ასევე ჩურკინსაც სჯეროდა, რომ დაშვებული შეცდომების გააზრების შემდეგ ქართულ-რუსული ურთიერთობების დალაგება შესაძლებელი იქნებოდა.

**ნიუპოსტი**



# ლევან იზორია: „ამერიკელი კონგრესმენებისგან მტკიცე მხარდაჭერა მივიღეთ“

აშშ-ის კონგრესის დელეგაციას, კონგრესმენ პიტერ როსკამის ხელმძღვანელობით, ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ უმასპინძლა.

აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმირების პროცესისა და ამერიკულ მხარესთან თავდაცვის სფეროში ერთობლივად განსახორციელებელი პროექტების შესახებ პირადად მიაწოდა ინფორმაცია.

– ამერიკელ კონგრესმენებთან შეხვედრას ორი მნიშვნელოვანი, პოლიტიკური და სამხედრო კომპონენტი ჰქონდა. პოლიტიკური თვალსაზრისით მივიღეთ ძალიან ცალსახა და მტკიცე მხარდაჭერა თავდაცვის სისტემის ტრანსფორმაციის საკითხში. სამხედრო ასპექტის კუთხით კი ჩვენ სტუმრად გვყავს ბრიგადის გენერალი, რომელსაც ორი კვირის წინ შევხვდი გერმანიაში არსებულ ამერიკის სამხედრო ბაზაზე.

იქიდან საჯაროდ განვაცხადე, რომ წელს ვგეგმავთ მნიშვნელოვანი პროგრამების განხორციელებას და ერთ-ერთი გახლავთ ერთობლივად საწვრთნელი ცენტრის შექმნა.

ეს ორი კომპონენტი იყო განხილვის საგანი. წელს ამ ორივე მიმართულებით, როგორც სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავების, ისე სამხედრო მზადყოფნის გაძლიერების კუთხით, ჩვენ გვექნება ძალიან ნაყოფიერი თანამშრომლობა, – განაცხადა ლევან იზორიამ.

აშშ-ის კონგრესმენ პიტერ როსკამის თქმით, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობა ღრმა და მნიშვნელოვანია.



– გვსურს გამოვხატოთ ჩვენი პოზიტიური დამოკიდებულება საქართველოსა და მისი გადაწყვეტილების მიმართ საკუთარი ერთიანობისა და მთლიანობის საკითხში, ასევე მისი გადაწყვეტილების მიმართ, იყოს წარმატებული და განვითარებული ქვეყანა.

ჩვენ ვართ პარტნიორები და ამ ურთიერთობას მომავალშიც გავაგრძელებთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი პარტნიორობა აღნიშნულ რეგიონში, რადგან მის გარშემო ავტორიტარიზმი იზრდება და ქვეყნებზე ზეწოლა ხორციელდება. ჩვენი ვიზიტის ერთ-ერთი მიზანია, შევიტყოთ უფრო მეტი იმ ახლო კავშირებისა და ურთიერთობის ხასიათის შესახებ, რომელიც არსებობს საქართველოსა და აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს შორის.

ჩვენ ვაფასებთ საქართველოს წინსვლას ნატოსთან ურთიერთობის ჭრილში და ასევე საკუთარი თავდაცვისუნარიანობის განვითარების კუთხით. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ავღანეთის მისიაში მონაწილეობისათვის. ჩვენ ვიცით თქვენი დანაკარგებისა და იმ ძალისხმევის შესახებ, რომელსაც ავღანეთში შეერთებულ შტატებთან ერთად აკეთებთ, – აღნიშნა კონგრესმენმა როსკამმა.

კონგრესმენ დევიდ პრაისის თქმით, შეერთებული შტატები მხარს უჭერს ქართველი ჯარისკაცების წვრთნას, აღჭურვასა და საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარებას.

– მოხარულნი ვართ, რომ ვიმყოფებით საქართველოში. ეს ჩვენი მეექვსე ვიზიტია. ჩვენ ათწლიანი ურთიერთობა და პარტნიორობა გვაკავშირებს. ვმუშაობთ საქართველოს პარლამენტთან და მის წევრებთან. ხშირია ვიზიტები როგორც საქართველოში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია მეგობრობის დამყარება. უმნიშვნელოვანესია, რომ საკანონმდებლო ინსტიტუტი გახდეს უფრო ეფექტური, რადგან ძლიერი პარლამენტი დემოკრატიის აუცილებელი კომპონენტია. კიდევ ერთხელ გვსურს, ჩვენი პატივისცემა გამოვხატოთ ქართველი ხალხის მიმართ ავღანეთის მისიაში მონაწილეობისთვის.

ჩვენ ასევე მხარს ვუჭერთ წვრთნების მისიას. ქართველი ჯარისკაცების წვრთნა, აღჭურვა და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთლიანად რეგიონისთვის, – განაცხადა კონგრესმენმა პრაისმა.

ვიზიტის ფარგლებში ამერიკელი სტუმრები საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილსა და პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს შეხვდნენ.

კონგრესმენებს სამუშაო შეხვედრები ჰქონდათ პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის, საგარეო ურთიერთობათა, თავდაცვისა და უშიშროების, საფინანსო-საბიუჯეტო და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტებთან.

კონგრესმენებმა შეხვედრა გამართეს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერებთანაც.

**ნიუპოსტი**

# დიმიტრის ავრამოპულოსი: „რამდენიმე დღეში საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირის ქვეყნებში მგზავრობას ვიზის გარეშე შეძლებთ“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და მიგრაციის, შინაგან საქმეთა და მოქალაქეობის საკითხებში ევროკომისარმა დიმიტრის ავრამოპულოსმა გუშინ, 26 თებერვალს, განახლებულ აღმაშენებლის გამზირზე „ახალ ტფილისში“ გაისეირნეს.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ცნობით, გიორგი კვირიკაშვილი და დიმიტრის ავრამოპულოსი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე კაფე „არიფანას“ ესტუმრნენ, სადაც კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროს წარმომადგენლებს შეხვდნენ.

მეცნიერების თქმით, განსაკუთრებით მისასალმებელია ევროკომისრის ვიზიტი თბილისში საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს პერიოდში – ვიზალიბერალიზაციის პროცესის დასკვნით ეტაპზე.



მათ მადლობა გადაუხადეს დიმიტრის ავრამოპულოსს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის.

– ძალიან მიხარია თბილისში დაბრუნება. მშვენიერი ქალაქია – მე გამიმართლა და აქ ადრეც ვიყავი. დღეს მე უდიდეს სიამოვნებას ვიღებ ამ ღონისძიებით – მშვენიერი საღამოა და ის უკან გვაბრუნებს ამ ქალაქის წარსულში.

როგორც მანამდე აღვნიშნე, ჩემი ვიზიტის მიზანი ბატონ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა და რამდენიმე განცხადების გაკეთებაა. კერძოდ, მოვლენები ძალიან კარგად ვითარდება – როგორც ევროკავშირის წარმომადგენელი, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ვმუშაობდი ამ მნიშვნელოვანი შედეგის მისაღწევად და ახლა ჩვენ სასურველ მიზანს მივაღწიეთ.

სულ რამდენიმე დღეში თქვენ, საქართველოს მოქალაქეები, ევროკავშირის ქვეყნებში მგზავრობას ვიზის გარეშე შეძლებთ, – განაცხადა დიმიტრის ავრამოპულოსმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოსო შატბერაშვილი: „ხელისუფლებამ სიღატაკეს უნდა მიხედოს“

## „ქართულმა ოცნებამ“ ოდიოზური ფიგურები დააწინაურა“

მარიამ მჭედლიშვილი



„ახალი თაობა“ „მემარცხენე ალიანსის“ ერთ-ერთ ლიდერ სოსო შატბერაშვილს ესაუბრა.

***– ხელისუფლება ამცირებს სოციალურ შეღავათებსა და შემწეობებს ყველა სფეროში. თქვენი აზრით, „ქართულმა ოცნებამ“ თავის მემარცხენე-ცენტრისტულ იდეოლოგიას გადაუხვია?***

– „ქართული ოცნება“ რეალურად არასდროს ყოფილა მემარცხენე და მემარცხენე ცენტრისტიც კი. თავის კოალიციაში მან შეიყვანა ისეთი პარტიები, რომლებიც მემარცხენეობასთან ახლოსაც არ იყვნენ, მაგალითად, რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი. წინასაარჩევნოდ ნებისმიერი პარტია ამომრჩეველს თავს აჩვენებს ხოლმე მემარცხენედ. ამიტომ ამომრჩეველმა ყურადღება უნდა მიაქციოს პარტიების იდეოლოგიას და არა წინასაარჩევნო მზრუნველობას.

სოციალური მიმართულებით ხარჯების შემცირების გამო მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილებაა. არ ვიცი, რას ფიქრობს ხელისუფლება. ეს ყველაფერი წყალს ასხამს ნაციონალური მოძრაობის წისქვილზე. გაკოტრებულმა ნაციონალურმა მოძრაობამ ბოლო დროს შეუძლებელი შეძლო – ამ პარტიამ თავის ტელევიზია რუსთავი 2-თან ერთად ტელევიზიის მხარდამჭერ აქციაზე დიდი რაოდენობით ხალხი გამოიყვანა. აქამდე ის ამას ვერ ახერხებდა. თუ „ოცნება“ გონზე არ მოვიდა, მალე ნაციონალები ხელისუფლებაშიც მოვლენ.

***– ხელისუფლება შეცდომებს უშვებს?***

– რა თქმა უნდა. ხელისუფლება ვერ ან არ მუშაობს. მის რიგებში ბევრი შეპარული თუ შესული ნაციონალია. პორტირებულებს დანაშაული აქვთ ჩადენილი. ამაზე ჩვენ ადრეც გავაკეთეთ განცხადებები, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ ყური არ გვათხოვა. „ქართულმა ოცნებამ“ ოდიოზური ფიგურებიც დააწინაურა.

***– კერძოდ?***

– თამარ ჩუგოშვილი. ნუთუ პირველ ვიცესპიკერად არ შეიძლებოდა სხვისი დანიშვნა? თამარ ჩუგოშვილმა საიას თავმჯდომარედ ყოფნისას 2011 წელს „აკურთხა“ ჩვენი მოქალაქეების სისხლიანი დარბევა. მისი „კურთხევის“ შემდეგ 26 მაისის სასტიკ აქტს ხალხი შეეწირა. სააკაშვილის რეჟიმის დამრბევები და ზონდერები რომ მიიღო თავის რიგებში, ეს „ოცნებას“ ირმა ნადირაშვილმაც კი წამოაძახა.

ნაცმოძრაობის სასარგებლოდ მუშაობს ასევე პროექტი პარტიული ბლოკების აკრძალვის შესახებ. ასე ხომ ნორმალური პარტიები ვერ გაერთიანდებიან! სამაგიეროდ, ხელ-ფეხი სრულად ეხსნება ნაცმოძრაობას. არ მინდა, ქვეყანა ისევ დამნაშავე ნაციონალურ მოძრაობას ჩაუვარდეს საჯიჯგნად. არადა, ამისკენ მიდის ყველაფერი.

***– პარლამენტში ყოველთვის იყვნენ ფულიანი დეპუტატები, რომლებიც საკუთარი ქონებისა და ბიზნესის უზრუნველყოფით იყვნენ დაკავებული. დღევანდელ 150-კაციან პარლამენტში დეკლარირებული მილიონერების რიცხვი 41-ია.***

– ჩემი დაკვირვებით, ფულიანი დეპუტატების რაოდენობა, წინანდელთან შედარებით, მომატებული არ არის. ახლა უფრო დაუფარავად ხდება ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირება. ადრე ეს იფარებოდა. მაგალითად, შევარდნაძის დროს კრიმინალური სამყაროს შიშით მდიდარი ბიზნესმენი ვერ ბედავდა ამაზე ლაპარაკს. სააკაშვილის დროს პარლამენტში ნაცმოძრაობიდან მშიერი ადამიანებიც შევიდნენ. ისინი მალე მდიდრებად იქცნენ. სააკაშვილის ოჯახს კარგად ვიცნობ. მას შეძლებული ოჯახი არ ჰქონია. სამაგიეროდ, ხელისუფლებაში სააკაშვილი უმდიდრეს კაცად იქცა.

***– ბიზნესმენები უნდა იყვნენ პარლამენტში?***

– პარლამენტში პოლიტიკოსები უნდა იყვნენ. წესიერი პოლიტიკოსი მილიონებს ვერ შოულობს. მილიონერებს პარლამენტი ყოველთვის იზიდავდათ იმიტომ, რომ აქედან იცავდნენ საკუთარ ბიზნესს. გარდა ამისა, ვადის ამოწურვის შემდეგ მათ რჩებოდათ კავშირები, იარაღის ტარების უფლება, სხვა შეღავათები. სააკაშვილივით ბიზნესმენებს აღარავინ ძარცვავს. პრეზიდენტის სასახლე, სხვა შენობები ამ ძარცვის შედეგად აშენდა. ბიზნესმენებზე ზეწოლა და მათი გატყავება არ ხდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ბიზნესი ბოლომდე მაინც არ არის დაცული და ბიზნესმენები პარლამენტისკენ მიილტვიან.

***– არსებობს მოსაზრება, რომ ეს ერთ-ერთი მიზეზია კლასობრივი ბრძოლის დასაწყებად.***

– ყველა კონტინენტზე, სადაც ხელისუფლებაში მოვიდნენ კომუნისტები, არსებობდა კლასობრივი დაპირისპირება და დიდი განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

***– სოციალურმა უთანასწორობამ საქართველოშიც დიდ მასშტაბებს მიაღწია. ასეთი რამ ევროპულ ქვეყნებს არ ახასიათებს.***

– მეც ამის თქმა მინდოდა. საშუალო ფენის წარმომადგენელს არ აღიზიანებს მდიდარი ადამიანი, მით უმეტეს მაშინ, თუ მას ფული პატიოსანი გზით აქვს ნაშოვნი. სიმდიდრე საბრძოლველად განაწყობს გაჭირვებულ ადამიანს. კლასობრივი დაპირისპირება საქართველოში დაწყებულია. შეინიშნება პროტესტი. მოქალაქეები ნაგავში იქექებიან! ამაზე უარესი რა უნდა იყოს? იმის მეშინია, რომ ეს კონფლიქტი დიქტატურის დამყარებით არ დამთავრდეს.

***– სიღატაკის დაძლევის მცდელობას ხედავთ?***

– „ქართულ ოცნებას“ აქვს შანსი, დაამარცხოს სიღატაკე. მისი აღმოფხვრა შესაძლებელია დასაქმებით. ევროპაში შემხვედრია ბევრი ქართველი, რომლებიც მზად არიან, დააბანდონ ფული საქართველოში. ზოგიერთი მათგანი 25 წელიწადია, წასულია. ეს ადამიანები ელიან, რომ ხელისუფლება მათ საქართველოში შესაბამის პირობებს შეუქმნის. ამ ადამიანებს ფული აქვთ. მათთვის საჭიროა პირობები ბიზნესის განვითარებისათვის. ეს მოაგვარებს სიღატაკის პრობლემას.

ასე მოიქცა თურქეთი. მან მოიზიდა და წაახალისა სხვა ქვეყნებში წასული თურქები, რის შემდეგაც თურქეთმა დაამარცხა სიღარიბე. მრავალი წელია, ეს ქვეყანა ბევრ ცნობილ ბრენდს აწარმოებს და განვითარებულია. ვიცი, რომ ამიერკავკასიაში შემოსვლა უნდა კომპანია „ტესლას“. საჭიროა აქტიურობა და საკუთარი მოქალაქეებისთვის სამუშაო ადგილების შექმნა.

სიღატაკე პირველ რიგში მისახედი პრობლემაა. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება ზრუნვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე. პირადად მე ეს მაწუხებს და მზად ვარ, სხვადასხვა საკითხზე ხელისუფლებას კონსულტაციები უანგაროდ გავუწიო. კარგი იქნება, თუ ხელისუფლებაც ითანამშრომლებს ნორმალურ პოლიტიკურ ძალებთან. პოლიტიკაში მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა არ უნდა იყოს.

# როკი და აფხაზეთის რკინიგზა იხსნება

შორენა მარსაგიშვილი



გაზპრომთან გაფორმებული ბურუსით მოცული ხელშეკრულების შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება ცხინვალის გზის გახსნასა და აფხაზეთის რკინიგზის ამოქმედებას აპირებს. ოფიციალური თბილისი ამ ინფორმაციას ოფიციალურად არ ადასტურებს, თუმცა ყველაფერი აქეთ მიდის. სავარაუდოდ, ამას უკავშირდება ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა.

სომხეთის ხელისუფლების პირველი პირები კი ამ თემაზე უკვე ღია განცხადებებს აკეთებენ. ამ მონაკვეთების აღდგენით ყველაზე მეტად ერევანია დაინტერესებული.

მათ არაერთხელ მიმართეს საქართველოს ხელისუფლებას, რათა გამონაკლისის სახით როკის გვირაბი გაეხსნათ. ამ დღეებში სომხეთის პრემიერმა კარაპეტიანმა განაცხადა, რომ ეს გზა, ალბათ, გაიხსნება.

ამ თემაზე თბილისი და მოსკოვიც, ფაქტობრივად, შეთანხმებული არიან. აბაშიძე-კარასინის ფორმატში ამ საკითხზე უკვე იყო საუბარი.

თავის დროზე სწორედ სომხებისთვის გახსნა საქართველომ ჩაკეტილი საზღვარი. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ საზღვარი აგვისტოს ომის შემდეგ გაიხსნა.

ცხინვალის გზის გარდა, აქტიურად მიდის სამზადისი აფხაზეთშიც. აქ რკინიგზის აღდგენა რუსმა სამხედროებმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დაიწყეს.

როგორც ადგილობრივები აცხადებენ, რკინიგზის მთელ მონაკვეთზე რელსებია დაწყობილი და რუსები მის სიახლოვეს არავის აკარებენ. გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთის რკინიგზა რამდენიმე თვეში ამოქმედდება.

ხელისუფლება ცდილობს, ამ თემაზე არ ილაპარაკოს, ოპოზიცია კი ამ ქმედებას ლამის ღალატად აფასებს.

– ჯერ ცხინვალის გზის გახსნა, მერე აფხაზეთის სახმელეთო გზისა და ბოლოს აფხაზეთის რკინიგზის – ამით ასრულდება რუსული ოცნება „ქართული ოცნების“ ხელით, – ამბობს ნაციონალი რომან გოცირიძე.

ის ხაზს უსვამს, რომ აფხაზეთმა და ყოფილმა სამხრეთ ოსეთმა ხელი მოაწერეს რუსეთის საბაჟო სისტემასთან გაერთიანების ხელშეკრულებას.

– შეიქმნა ახალი რეალობა, რის შემდეგადაც შვეიცარიელი მონიტორების საზღვარზე დაყენება უკვე არ ემსახურება ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებს. რუსეთმა მაშინ გადაწყვიტა ამ მექანიზმის ამოქმედება, როცა მას დასჭირდა, თანაც უნდა ეს გაასაღოს ქართული მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილებად.

აბაშიძე-კარასინის შეხვედრები ქართულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამას აბაშიძის ფაქტორიც განაპირობებს. ის უნდა ჩამოსცილდეს ამ პროცესს, – აცხადებს ოპოზიციონერი დეპუტატი.

◆ ◆ ◆

ჩვენი ოპოზიციონერების მსგავსად, ამ ამბით არც ცხინვალში და სოხუმში არიან გახარებულები. მათი განმარტებით, მოსკოვი და თბილისი სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებენ, ჯერ მათ უნდა დაელაპარაკონ.

# 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილე ქართველი სამხედროების სია ცხინვალის გენპროკურორმა მოსკოვს მიაწოდა



ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის გენერალურმა პროკურორმა ურუზმაგ ჯაგაევმა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილე ქართველი ძალოვნების სია რუსეთის პროკურატურას გაუგზავნა.

რუსეთის პროკურატურაში საერთაშორისო ძებნაზე გადასაცემად უკვე გაგზავნილია იმ სამხედროებისა და სამართალდამცველების სია, რომლებიც 2008 წელს რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ურუზმაგ ჯაგაევმა 23 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე ისიც განაცხადა, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილე ქართველი ძალოვნების სია მალე გაიზრდება და მისმა რაოდენობამ, შესაძლოა, 500-ს გადააჭარბოს.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ პასუხი, როგორ მოხვდა ცხინვალში 2008 წლის ომში მონაწილე ძალოვნების მონაცემები.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ნებისმიერი ქართველი სამხედრო რუსეთის ფედერაციისთვის გადაცემას გამორიცხავენ.

უშიშროების საბჭოში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქართველომ მოქმედი თუ ყოფილი ძალოვნები უნდა დაიცვას.

**ნიუპოსტი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# გერმანული მედია: დემირელის კოლეჯის მფლობელი საქართველოში არ შეუშვეს




გერმანული მედიის ცნობით, დემირელის კოლეჯის მფლობელი, წარმოშობით თურქი, გერმანიაში მცხოვრები ბიზნესმენი საქართველოში არ შეუშვეს.

მის მფლობელობაშია საქართველოში შაჰინის სკოლაც, რომელსაც ავტორიზაცია 3 თებერვალს გაუუქმდა.

გამოცემა წერს, რომ მას და მის 2 პარტნიორს თბილისში ყოველთვის თბილად ხვდებოდნენ.

– სასტუმრომდე პოლიციის ესკორტი გვაცილებდა, გვექცეოდნენ, როგორც მოქალაქეებს, – ციტირებს გამოცემა ჯიჰან აქინის სიტყვებს.

შემთხვევა გასულ კვირას მოხდა.

როგორც გამოცემა წერს, სამივე პირი აეროპორტიდან უკან იმავე თვითმფრინავით გაამგზავრეს, რომლითაც თბილისში ჩამოვიდნენ.

გერმანულ სტატიას თან ახლავს გერმანია-კავკასიის საპარლამენტო ჯგუფის წევრ ტაბეა როსნერის განცხადებაც:

– ჩვენ დიდი ხანია ვაკვირდებით, რომ თურქეთს სურს გავლენა მოახდინოს კავკასიის ქვეყნებზე და მათ შორის საქართველოზე. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ დემოკრატიულ განვითარებას საქართველოში. ფედერალური საგარეო უწყება იმედოვნებს, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დამატებითი დეტალები მალე გახდება ცნობილი.

გამოცემა აღნიშნავს, რომ სამივე პირის საზღვრიდან უკან გაბრუნება მათი მხრიდან გიულენის სკოლების მფლობელობასთან არის დაკავშირებული.

**ბიზნესკონტრაქტი**

# სოსო ცისკარიშვილი: „პროკურატურას ეშინია იმ სიმართლის, რომელსაც მამა გიორგი ფლობს“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი აფასებს.

***– ბატონო სოსო, ერევა თუ არა ხელისუფლება საპატრიარქოს საქმეებში?***

– რთულია ამ კითხვაზე პასუხი. ვიდრე ჩვენ არ მოვისმენთ უწმინდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქის გამოსვლას ამ თემაზე, მანამდე მხოლოდ ვარაუდებით შეგვიძლია ვისაუბროთ. ერთადერთი ადამიანი ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც ენდობა მოსახლეობა, სწორედ პატრიარქია.

***– მაღალი თანამდებობის პირების ვიზიტებმა იმატა საპატრიარქოს კარზე. ამას რით ხსნით?***

– ეს არის გარკვეული მცდელობა საკუთარი დანაშაულების ჩასაფარცხად. სრულიად არასტანდარტულია მცდელობა იმისა, რომ პროკურატურამ სიტყვა არ დაძრას, რეალობაში რა სიტუაციაა ამ ამბებთან დაკავშირებით და ამ დროს სხვადასხვა ადამიანი ხშირად სტუმრობს საპატრიარქოს და იქ საკუთარ ინტერპრეტაციებს აფრქვევენ. რეალობა კი ერთია, პროკურატურას ეშინია, გაიგოს ინფორმაცია.

***– რომელი ინფორმაცია?***

– რომელსაც ფლობს მის მიერ დაკავებული პირი! ისინი დააფრთხო ერთადერთმა გულადმა ადვოკატმა, რომელმაც ხელი არ მოაწერა დამუნჯების ტრაქტატს! ის საუბრობს თავისუფლად, როგორც დამოუკიდებელი პირი! ჩემთვის გასაკვირია, როდესაც ორი წარმატებული ადვოკატი ქალი უცებ აღმოჩნდა დამწყები პროკურორის როლში და აძლიერებს ბრალდებას. მათ არ რცხვენიათ, ასეთი მისიით ესტუმრონ საპატრიარქოს, რომ იქ კიდევ უფრო მეტი შფოთი დაბადონ. რაც დრო გადის, მით უფრო იკვეთება ამ გაუგებრობის პოლიტიკური შემადგენელი.

***– რა იყო ჩაფიქრებული?***

– ამ ყველაფერს გავიგებთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც იმ თითიდან გამოწოვილ ბრალდებებს ფარდა აეხდება.

***– გამოდის, რომ თქვენ მამა გიორგის უდანაშაულოდ მიიჩნევთ?***

– დამნაშავე ჯერჯერობით მხოლოდ პროკურატურაა, რომელმაც უკანონო ქმედებები თვალსაჩინოდ გამოავლინა. სრულიად არათანაბარ ვითარებაში ამყოფებს რამდენიმე კვირის განმავლობაში ბრალდებასა და დაცვას. ეს უკვე დანაშაულია! ძალიან სამწუხაროა, რომ ამაზე საუბრობენ მხოლოდ პრეზიდენტი და სახალხო დამცველი. საპარლამენტო უმრავლესობის ეს ზედმეტად გააფთრებული ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც აზრზე არ არიან, რაშია საქმე, რატომღაც მხოლოდ პროკურატურის იმედზე არიან, მაშინ როცა სახეზეა პროკურატურის სრულიად მკაფიო გასვლა სამართლიანი სივრციდან.

***– მთავარი პროკურორი კანონს არღვევს?***

– რაც დრო გადის, მთავარი პროკურორი სულ უფრო საბრალოდ გამოიყურება.

***– მის გადაყენებას აქტიურად მოითხოვენ. გადაჰყვება ამ საქმეს?***

– თუ რაიმე ჰუმანიზმი გააჩნია ჩვენს კადრებუხუცესს, მაშინ უნდა იყოს შემოღებული ნაადრევი პენსიის ახალი სისტემა და სწორედ პირველი, ვინც დაჯილდოვდება ნაადრევი პენსიით, უნდა იყოს გენერალური პროკურორი.

***– ხომ არ დადგება პრემიერ-მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხიც?***



– პრემიერ-მინისტრის რეაგირება ჩემთვის სრულიად მკაფიოა. ის, ბევრი ჩვენგანისგან განსხვავებით, გახლავთ უაღრესად სპეტაკი მართლმადიდებელი. მისთვის მართლმადიდებლობა და ურთიერთობა მის უწმინდესობასთან მისი ცხოვრების განუყოფელი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილია. ამიტომ, თუ პროკურორი რაღაც უბედურების მომასწავებელ ინფორმაციას აწვდის მას, რასაკვირველია, ის აფეთქდებოდა.

***– ანუ პრემიერი და მისი ემოციები გამოყენებულ იქნა ამ საქმეში?***

– თუ ვინმეს მიერ იყო გამოყენებული, ეს ვინმე არ იქნებოდა გენერალური პროკურორი. ყველაფერი დამშვიდდება მაშინ, როდესაც ჩვენს მოსახლეობას მიმართავს ჩვენთვის ყველაზე სანდო პიროვნება, მისი უწმინდესობა.

# ნარმანიამ პრაღასა და ბუდაპეშტს გაასწრო

შორენა მარსაგიშვილი



დედაქალაქის მერია ერის გაოცებას აგრძელებს. მართალია, ზაჰესის ხიდის აშენება ვერ მოახერხა, სამაგიეროდ, ლონდონის, პრაღისა და ბუდაპეშტის მერიებს ჩაუქროლა ქორივით.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ თბილისის მერიაში გაცილებით მეტი ადამიანია დასაქმებული, ვიდრე ლონდონისაში. პოლიტიკურმა პლატფორმამ „ახალმა საქართველომ“ დასაქმებულთა რაოდენობა სხვადასხვა დედაქალაქშიც მოიძია. ამ დღეებში პასუხი ჩამოვიდა ბუდაპეშტიდან და პრაღიდან.

– შეგვიძლია ვიამაყოთ, ნარმანიამ ბუდაპეშტი და პრაღაც დაამარცხა. მეტსაც გეტყვით, თბილისის მერიაში გაცილებით მეტი თანამშრომელია, ვიდრე ლონდონის, პრაღისა და ბუდაპეშტის მერიებში, ერთად აღებული, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა.

მისი თქმით, ბუდაპეშტის მერიაში ოფიციალურად არის განსაზღვრული, თუ რამდენი თანამშრომლის დასაქმება შეიძლება. უნგრეთის დედაქალაქის მერია 868 ადამიანზე მეტს ვერ დაასაქმებს.

– ლონდონის მერიას არ ვენდეთ. ბუდაპეშტსა და პრაღას მივწერეთ. ბუდაპეშტის მერიაში 850 ადამიანი მუშაობს. ზოგადად შეზღუდვა აქვთ და მაქსიმალური 868 მოხელეა დასაშვები. წერილში გვწერენ, რომ 2010 წლის შემდეგ რამდენჯერმე შემცირდა თანამშრომელთა რაოდენობა.

პრაღამ ძალიან ვრცლად გვიპასუხა და თავიანთი მოწყობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოგვცა.

ნარმანიას მერიაში ბევრად მეტი თანამშრომელია. დასკვნები თავად გამოიტანეთ. შეგახსენებთ, რომ თბილისის მერიაში 5.700 ადამიანი მუშაობს, საიდანაც 1.300 უშუალოდ მერიის ადმინისტრაციასა და საქალაქო სამსახურებშია, – გვითხრა ლევან ხაბეიშვილმა.

რამდენიმე დღის წინ ხაბეიშვილმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ თბილისის მერიაში დასაქმებულთა რიცხვი ლონდონის მერიაში დასაქმებულთა რიცხვს დაახლოებით 7-ჯერ აღემატება.

– ლონდონის მერიაში 835 ადამიანია დასაქმებული, მაშინ როდესაც თბილისის მერიაში ეს რიცხვი 5.700-ს აღწევს. ლონდონში 8.278.251 ადამიანი ცხოვრობს, თბილისში – 1.108.717. ფართობით ლონდონი თბილისზე მინიმუმ 2-ჯერ დიდია, – განაცხადა მაშინ ხაბეიშვილმა.

„ახალი საქართველო“ პასუხებს სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქის მერიებიდანაც ელოდება. მათ იმედი აქვთ, რომ თბილისის მერია ამ ქალაქებსაც დაჯაბნის.

# თუშეთი: 1.250 ლარის პროდუქტების მისატანად 25.500 ლარი დაიხარჯა

ახმეტის გამგეობამ თუშეთში მუდმივად მცხოვრებ 25 პირს, საახალწლო საჩუქრის სახით, საკვები პროდუქტების 50-ლარიანი პაკეტები 21 თებერვალს გადასცა.

დაახლოებით 1.250 ლარის ღირებულების პროდუქტების ვერტმფრენით გადატანისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 25.500 ლარი დაიხარჯა. საახალწლო პროდუქტების გადაცემის მიზეზით, თუშეთში გაფრინდნენ და იქეიფეს ახმეტის გამგებელმა, მისმა მოადგილემ, საკრებულოს თავმჯდომარემ, გუბერნატორმა, მაჟორიტარმა დეპუტატმა, პოლიციის უფროსმა, მისმა მოადგილემ და სხვებმა.

ახმეტის გამგეობამ თუშეთში მცხოვრები პირების, ასევე 16 წლამდე ასაკის უდედმამო და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის სასურსათო პაკეტების შესყიდვის მიზნით ტენდერი 2016 წლის 12 დეკემბერს გამოაცხადა.

ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ პირთან, დიმიტრი გურაბანიძესთან, 2.742 ლარზე გაფორმდა, ხოლო გამგეობამ პროდუქტები 2016 წლის 28 დეკემბერს შეიძინა.

აღნიშნული თანხით თითოეულ ბენეფიციარზე უნდა მომხდარიყო შემდეგი სახეობისა და ოდენობის პროდუქტების შეძენა: 3,5 კგ შაქრის ფხვნილი, 5 კგ მაკარონი, 1 კგ კარამელი, ზეთი, 1,5 კგ შოკოლადი, 1 კგ ორცხობილა, 100 გრამი ნალექიანი და 100 გრამი უნალექო ყავა.

პროდუქტები თუშეთში 2017 წლის 21 თებერვალს ვერტმფრენის საშუალებით გადაიტანეს. ფრენისთვის შპს „ავიაკომპანია თუშეთს“ 25.500 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადაუხადეს.

25 ადამიანისთვის დაახლოებით 1.250 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტების ტრანსპორტირებისთვის ბიუჯეტიდან 20-ჯერ მეტი თანხა – 25.500 ლარი დაიხარჯა.

თუშეთში მუდმივად მცხოვრები პირებისთვის პროდუქტების გადაცემის „მიზეზით“ ვერტმფრენით იმოგზაურეს ახმეტის გამგებელმა ბექა ბაიდაურმა, გამგებლის პირველმა მოადგილემ ვანო ნასყიდაშვილმა, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა არსენ ბულრიძემ, ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარე გელა ჯუგაშვილმა.

ამ „მისიაში“ კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, ახმეტა-თელავის მაჟორიტარი დეპუტატი გელა სამხარაული, ახმეტის პოლიციის უფროსი ბესიკ ონიანი და მისი მოადგილე გიორგი აბელაშვილიც მონაწილეობდნენ.

მათ თან ახლდნენ ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტი და ოპერატორი.

იმავე ვერტმფრენში იმყოფებოდა რამდენიმე კერძო პირიც – ადგილობრივი მეწარმე ზურაბ ბაბულაიძე (შპს „ტექნოვინის“ დირექტორი), მისი მეგობარი რატი კოჭლამაზაშვილი და სხვები.

რატი კოჭლამაზაშვილის განმარტებით, ის და ზურაბ ბაბულაიძე თუშეთში ინტერნეტიზაციის პროექტთან დაკავშირებით იმყოფებოდნენ.

– ინტერნეტის ანძების განთავსების ადგილების ფოტომასალა უნდა მოგვეპოვებინა, რათა მიწის ნაკვეთების გამოყოფა დაჩქარდეს, რომ ინტერნეტიზაციის პროექტი დროულად დასრულდეს, – აღნიშნავს რატი კოჭლამაზაშვილი, თუშეთის განვითარების ფონდის წარმომადგენელი.

თუშეთში სტუმრად ჩასულმა ჩინოვნიკებმა გულუხვად მოილხინეს.

◆ ◆ ◆

2011 წლიდან, ახმეტის საკრებულო ყოველი წლის დასაწყისში ამტკიცებს სოციალურ პროგრამას და ამ პროგრამის ბიუჯეტს. პროგრამის „სამიზნე ჯგუფებს“ შორის არიან თუშეთში მუდმივად და სეზონურად მცხოვრები პირებიც. ფაქტობრივად, 25 ბენეფიციარია, თითოეული მათგანისთვის 50 ლარიანი სასურსათო პაკეტია გამოყოფილი. იგი წელიწადში ორჯერ გაიცემა – სააღდგომოდ და საახალწლოდ.

25 ბენეფიციარზე წელიწადში 2500 ლარის ღირებულების სურსათის გაცემა ხდება.

პროდუქტების გადაცემას ტრადიციულად მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და მათ მიერ დაპატიჟებული მაღალი რანგის თანამდებობის პირები ახდენენ, ხოლო სასურსათო პაკეტების თუშეთში გადატანა უგზოობის გამო ვერტმფრენის მეშვეობით ხდება.

ვერტმფრენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა ყოველწლიურად ტენდერის გზით ხორციელდება, რომელშიც მუდმივად ერთი და იგივე სუბიექტი – შპს „ავიაკომპანია თუშეთი“ იმარჯვებს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა 2015 წლის 3 დეკემბერს გამოაქვეყნა სპეციალური კვლევა – „ჰაერში დაფერფლილი ბიუჯეტი“, სადაც აღნიშნული იყო, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში თუშეთის მოსახლეობისთვის სულ



**„თანხა ჩაგვირიცხონ და პროდუქტებს ჩვენ თვითონ ვიყიდით“**

მიწოდებულ იქნა 7.500 ლარის ღირებულების პროდუქტები, რომელთა ტრანსპორტირებისთვის 100.099 ლარი, ანუ დაახლოებით 13,5-ჯერ მეტი დაიხარჯა.

**ვისელი ბაკურიძე, თუშეთის მკვიდრი:**

– ერთხელ წავიქეცი, ხერხემლის მალები დამიზიანდა. ვერ ჩამოვედი ბარში, იმდენი თანხა მე არ მქონდა, რომ ვერტმფრენი დამექირავებინა. მითხრეს, რეისი არ გვაქვსო. მერე მობრძანდნენ თვითონ საქეიფოდ, იქეიფეს, ექიმიც მოუყვანიათ, მაგრამ არც მოვიდნენ საკითხავად, როგორ ხარო. არაფერი არ იკითხეს. იქეიფეს და წავიდნენ.

**ბესო იდოიძე, თუშეთის მკვიდრი:**

– ნამდვილად ისეთ ფუფუნებაში არ ცხოვრობს ქვეყანა, რომ ამდენი თანხა იხარჯებოდეს. ვერტმფრენის ხარჯი გადაანაწილონ სასურსათო პაკეტებზე და ამით დაგვეხმარონ, ან თანხა ჩაგვირიცხონ და ჩვენ თვითონ ვიყიდით. უაზრო ხარჯვაა ეგ, გაფრინდი-გამოფრინდი და ამდენი ათასები წავიდეს.

◆ ◆ ◆

რამდენიმე დღის წინ, თუშეთში მუდმივად მცხოვრებ ორ პირს, სოფელ ომალოს მკვიდრს, 66 წლის გელა სისაურსა და კვავლოში მცხოვრებ 41 წლის კარლო ქუჯაიძეს სამედიცინო დახმარება სჭირდებოდათ. კარლო ქუჯაიძეს ათ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ხელის და ფეხის თითები ჰქონდა მოყინული, გელა სისაურს კი მუხლების ღრმა დაჟეჟილობა და ნაფლეთოვანი ჭრილობები ჰქონდა.

თუშეთის ექიმი, ირაკლი ხვედაგურიძე, აცხადებდა, რომ პაციენტები სტაციონარში გადაყვანას საჭიროებდნენ. პაციენტების გადმოყვანა სხვადასხვა მიზეზით გაჭიანურდა. გელა სისაური სტაციონარში მხოლოდ მას შემდეგ გადმოიყვანეს, რაც ტკივილებისგან თვითმკვლელობა ცადა.

ის გარემოება, რომ თუშეთში მუდმივად მცხოვრები პირებისთვის რამდენიმე კილოგრამი შაქრის ფხვნილის, მაკარონისა და 200 გრამამდე ყავის გადაცემის აქცია მოსახლეობის მატერიალურ უზრუნველყოფას არ ემსახურება და მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა აქვს, გადაცემული პროდუქტების მიზერული ოდენობიდანაც ჩანს და მისი გადაცემის ვადაც იგივეს ადასტურებს – „საახალწლო საჩუქრებად“ სახელდებული საკვები პროდუქტი ადრესატამდე თითქმის 2 თვის დაგვიანებით აღწევს.

**მთის ამბები**

# ოთარ ანგურიძე: „ლარიზაციის პროგრამა უნდა გაგრძელდეს“

## „გეგმა კარგია, მაგრამ — არასაკმარისი“

ნათია ხურცილავა

ეკონომიკის ექსპერტი ოთარ ანგურიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ლარიზაციის გეგმასა და ლარის გამყარების ტენდენციაზე საუბრობს.

***— ბატონო ოთარ, რამდენად ამართლებს ლარიზაციის გეგმა?***

— ზოგადად მსგავსი ნაბიჯები, რომლებიც მიმართული იქნება ქვეყანაში უფრო მეტი ეროვნული ვალუტის მოხმარებისკენ, კარგია. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ეროვნული ვალუტის გაუმჯობესებასა და, მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. თუმცა, ამ გადაწყვეტილებას აკლდა გარკვეული ნაბიჯები, რომ უფრო სრულყოფილი გეგმა მიგვეღო. ახლა ეტაპობრივად მიმდინარეობს დახვეწის პროცედურები.

ასევე იყო არათანმიმდევრული ნაბიჯები, რამაც შეაფერხა ამ პროცესის სრულყოფილება. ვგულისხმობ რეფინანსირების განაკვეთის ანუ ე.წ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდას ეროვნული ბანკის მხრიდან, რამაც, ამავდროულად, გამოიწვია სესხების გაძვირება ლარში. ეროვნული ბანკი მოგვიანებით მის ამ ლაფსუსებს მიხვდა და ე.წ. კალკულატორი შეაშველა, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელი თვითონ ითვლის თავის ხარჯებს, რომელთაც ის გასწევს და დაეკისრება გალარების პროგრამაში. თუმცა, ორი თვე ძალიან ცოტაა და ამ პროგრამას აუცილებლად სჭირდება გაგრძელება. ვფიქრობ, გაგრძელდება კიდეც.

***— თქვენ აღნიშნეთ, რომ ლარიზაციის გეგმას აკლდა კომპონენტები. კონკრეტულად რა?***

— პირველ რიგში, წინასწარ არ იყო ინფორმაცია, არ იყო საზოგადოება მზად. ლარიზაციის გეგმის შესახებ ინფორმაცია გახმოვანდა



თუ არა, მეორე დღესვე დაიწყო ლარმა გაუფასურება. სწორედ ამ ფონზე ლარმა თავის პიკურ მაჩვენებელს მიაღწია. ამან, ერთი მხრივ, პანიკური სიტუაცია წარმოქმნა როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებში და, მეორე მხრივ, ამისთვის ეროვნული ბანკი მზად არ აღმოჩნდა.

ეროვნულ ბანკს ამ დროს მკაცრად რეგულირებადი პოლიტიკა უნდა ჰქონოდა შემუშავებული, რათა თავი დაეზღვია ლარის გაუფასურებისგან. იმ დროს ლარზე ასეთი შეტევა რომ არ ყოფილიყო, დღეს ბევრად გამყარებული იქნებოდა ლარი. თვითონ ეროვნული ბანკი არ აღმოჩნდა მზად ლარიზაციის გეგმის განხორციელებისთვის.

***— ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ უფრო მკაცრიც კი უნდა იყოს ლარიზაციის პოლიტიკა ქვეყანაში. მაგალითად, დეველოპერული კომპანიები უცხოურ ვალუტაში არ უნდა ყიდდნენ საცხოვრებელ სახლებს. ეთანხმებით?***

— ეს საკითხი არაერთგვაროვან და მრავალმხრივ შეფასებას მოითხოვს. ლარიზაციის გეგმა, ზოგადად, არც კია მთავრობის პრეროგატივა. ეს ეროვნული ბანკის პრეროგატივაა. ამაზე ზრუნვა ეროვნულ ბანკს აქამდე უნდა დაეწყო, მით უფრო, მაშინ როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდს არაერთი რეკომენდაცია ჰქონდა. ისინი გვეუბნებოდნენ, რომ დედოლარიზაცია მოგვეხდინა და ლარიზაცია გაგვეზარდა ქვეყანაში. მიუხედავად ამ რეკომენდაციებისა, ჩვენ ვხედავდით, მთელი ბოლო პერიოდის განმავლობაში როგორ იზრდებოდა დოლარიზაცია და როგორ მცირდებოდა ლარიზაცია.

***— რატომ, როგორ ფიქრობთ?***

— ეს, პირველ რიგში, ეროვნული ბანკის პრობლემა იყო. ლარის კურსის სტაბილურობა, ფასთა ინფლაცია, ყველა ამ სფეროს რეგულირება ეროვნული ბანკის ფუნქციებში შედის. ვფიქრობ, უფრო მკაცრი უნდა იყოს პარლამენტი ეროვნული ბანკის მიმართ.

***— რას გულისხმობთ?***

— უფრო მომთხოვნი უნდა იყოს. ის არის ანგარიშვალდებული და არსებულ პრობლემებზე პარლამენტმა პასუხი სწორედ ეროვნულ ბანკს უნდა მოსთხოვოს. თავის მხრივ, ეროვნული ბანკი უნდა იყოს ბევრად უფრო მკაცრი და მომთხოვნი ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიმართ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით ის პრობლემები, რომლებიც გვაქვს ლართან დაკავშირებით, ზოგადად საფინანსო სექტორთან დაკავშირებით, აუცილებლად მოიხსნება. ქვეყანაში მძიმე რეგულირებაა საფინანსო სექტორის და ეს ფაქტია, ამაზე საუბრობენ არა მხოლოდ ექსპერტები, არამედ ეს პირადად ეხებათ ადამიანებს, ამ ქვეყნის მოქალაქეებს.

***— ლარიზაციის გეგმამ გაამართლა?***

— კარგი გადაწყვეტილებაა, თუმცა სრულყოფილად არის საჭირო მისი გააზრება და წარმოდგენა. რაც უფრო მეტი ადამიანი მოახდენს სესხების ლარში კონვერტაციას, მით უკეთესია, რადგან ნაკლები იქნება ზეწოლა ლარის გაუფასურებისას, თუმცა უფრო მეტი ეფექტი რომ ჰქონდეს ლარიზაციის პოლიტიკას ქვეყანაში, ამისთვის მხოლოდ ლარიზაცია არ არის საკმარისი. ასევე, ლარიზაციის გეგმა მხოლოდ ორი თვით არ უნდა შემოიფარგლოს. ის აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

მას შემდეგ, რაც ბანკები მიხვდნენ, რომ ეს იყო გაბერილი კურსი, ლარი ყოველდღიურად განაგრძობს გამყარებას. გარკვეული გაუმჯობესება არის, მაგრამ, არა იმ მოცულობით, რომ სწრაფი გამყარების წნეხი გვქონდეს. ამ საკითხითაც უნდა დაინტერესდეს ეროვნული ბანკი, თუ რატომ მოხდა ლარიზაციის გეგმის გამოცხადებისთანავე ლარის მასშტაბური გაუფასურება, დღეს კი გამყარება.

***— თქვენ რით ხსნით?***

— მე მაქვს კითხვები და ამ კითხვებზე პასუხები არის საჭირო, რომლებიც ეროვნულმა ბანკმა უნდა გასცეს.

***— ალბათ, რთულად წარმოსადგენია, დანაზოგი ვინმემ ლარში გააკეთოს. თუ არის საჭირო ამ მიმართულებით ერთგვარი კამპანია ეროვნული ბანკის მხრიდან?***

— ადამიანებში ძალიან დაბალია სანდოობა, რაც გამოიწვია სწორედ გაუფასურების ტრენდებმა. ეროვნული ბანკი არ უნდა იყოს მხოლოდ მთავრობის ინიციატივაზე დამოკიდებული. ინიციატივები უნდა მოდიოდეს ეროვნული ბანკისგან, როდესაც საქმე ეხება ლარს, ფინანსებს, ბანკებს. ეროვნული ბანკი უფრო აქტიური უნდა იყოს მთელ ამ პროცესში.

# საქართველოში „ორგანიზაციების მართვის ხელოვნური ინტელექტი“ შეიქმნა

„სილიკონ ველი თბილისის“ სივრცეში ინფორმაციული ტექნოლოგიების ქართველმა სპეციალისტებმა „ორგანიზაციების მართვის ხელოვნური ინტელექტი“ შექმნეს.

პროგრამა კომპანიების მართვის პროცესის გამარტივებას შეუწყობს ხელს. მისი გამოყენება შესაძლებელია საფინანსო ინსტიტუტების, ბიზნესკომპანიებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების მართვის პროცესში.

„ორგანიზაციების მართვის ხელოვნური ინტელექტი“ არის ქართული ტექნოლოგიური სიახლე, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია.

— მე მეამაყება, რომ ის სწორედ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა. ახალ პროდუქტს შეუძლია, რევოლუცია მოახდინოს და საგრძნობლად გაამარტივოს ორგანიზაციების მართვის პროცესი. ეს არის ტექნოლოგიური ასისტენტი, რომელიც ინფორმაციასა და რეკომენდაციებს ყოველწუთიერად გაწვდის, ხშირ შემთხვევაში კი შეიძლება გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც ჩაერიოს.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში ამ სისტემას უკვე გამოვიყენებთ და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ის ორგანიზაციების ხვალინდელი დღეა. ამ პროდუქტის დანერგვას აქტიურად დავიწყებთ როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე, — აღნიშნა ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორმა მიხეილ ბატიაშვილმა.

პროგრამა ორგანიზაციების მენეჯმენტს ფინანსური ოპერაციების, დაგეგმილი აქტივობებისა და არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციას უწყვეტ რეჟიმში აწვდის.

„ორგანიზაციების მართვის ხელოვნური ინტელექტი“ მე-




ნეჯმენტს დაფიქსირებული პრობლემის მოგვარების გზებსაც სთავაზობს.

— შევიმუშავეთ 7 პარამეტრი, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტისთვის არის მნიშვნელოვანი. მაგალითად, ჩვენთვის საინტერესოა კონკურენტები, განვითარების ტენდენცია, ფინანსური მაჩვენებლები, ვალუტის კურსი, მომხმარებლების ჩართულობა, თანამშრომლების კმაყოფილება, ახალი ტექნოლოგიები. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მენეჯერი უფრო ადეკვატურ მითითებებს გასცემს საკუთარ კომპანიაში, — განმარტავს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის პროექტების მენეჯერი ზურა პერტაია.

**ბიპიენი**

# ირანიდან გაზრდილი მოთხოვნის გამო საქართველოში ცხვრის ხორცის ფასი გაიზარდა

ირანიდან გაზრდილი მოთხოვნის გამო საქართველოში ცხვრის ხორცის ფასი გაიზარდა, ხორცის კომპანიები კი ბაზარზე არსებულ დეფიციტზე საუბრობენ.

როგორც მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ბექა გონაშვილი ბიზნესკონტრაქტთან აცხადებს, თუ დეკემბრის დასაწყისში ერთი კგ ცხვრის ხორცის ღირებულება 8 ლარი იყო, ახლა ფასი 15 ლარამდე აღწევს.

ლისიდან ახალი პარტია წამოვა და ისევ დაიკლებს ფასი. ირანში ხორცის ექსპორტისთვის ხელოვნური ბარიერები მოხსნილია, რაშიც სახელმწიფო ძალიან დაგვეხმარა, — აცხადებს ბექა გონაშვილი.

ფასის მატებასთან დაკავშირებით ბიზნესკონტრაქტთან საუბრობს კომპანია „იბერმეთიც“.

ირაკლი ადეიშვილი აცხადებს, რომ ცხვრის ხორცის ექსპორტი დაახლოებით 3 თვის



მისი თქმით, დაახლოებით 6 თვეა, ირანში აქტიურად გადის ექსპორტზე ქართული ცხვარი, რამდენადაც, მოიხსნა ბარიერები, რაც ამ მიმართულებით აქამდე არსებობდა.

გონაშვილი განმარტავს, რომ მოთხოვნა გაიზარდა, შესაბამისად, მოიმატა ფასმაც.

— აღარ არის ცხვრის საკმარისი რაოდენობა, მაგრამ ივ-

წინ დაიწყეს, თუმცა, ახლა დიდი რაოდენობის გატანა ველარ ხდება. მიზეზად ისიც მოთხოვნის ზრდასა და ფასის მატებას ასახელებს.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, „იბერმეთს“ ირანში თვეში დაახლოებით 100 ტონა ცხვრის ხორცი გააქვს.

**სალომე მეცხვარიშვილი,**
**ბიზნესპრესნიუსი**

# ლაურა ლაჭავა ჰილტონს აშენებს



ლაურა ლაჭავას კომპანია ჰილტონის ბრენდის ქვეშ სასტუმროს მოწყობისთვის შესაბამის პროექტზე მუშაობს.

როგორც ლაურა ლაჭავა რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, ისინი შეხვდნენ კომპანიის წარმომადგენლებს, მიიღეს რეკომენდაციები, როგორი უნდა იყოს სასტუმრო და შემდეგ დაიწყებენ მშენებლობას.

სასტუმროს მშენებლობა მელიქიშვილის გამზირზე, ფილარმონიის გვერდითაა დაგეგმილი. გეგმის მიხედვით, მშენებლობა 2018 წელს უნდა დასრულდეს. სასტუმრო 7-სართულიანი იქნება.

პროექტის საინვესტიციო ღირებულება 6-8 მილიონი ევროა.

ჰილტონის გარდა, ლაჭავას კომპანია ჭავჭავაძის გამზირზე რედისონ რედის ბრენდის სასტუმროს აშენებს.

სასტუმრო 100-ნომრიანია და მისი გახსნა 2019 წელს არის დაგეგმილი.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# თუშეთის ნაკრძალში უცხოელი ტურისტების რიცხვი ადგილობრივი ვიზიტორების რიცხვს აჭარბებს

— თუშეთის ნაკრძალში უცხოელი ტურისტების რიცხვი ადგილობრივი ვიზიტორების რიცხვს აჭარბებს.

ამის შესახებ ბიზნესკონტრაქტს ნაკრძალის ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტმა სოფო რაინაულმა განუცხადა.

მისი თქმით, გასულ ტურისტულ სეზონზე ნაკრძალს 13 ათასზე მეტი ვიზიტორი ეწვია, რომელთა უმრავლესობა უცხოელი იყო. სპეციალისტი ამბობს, რომ წლიდან წლამდე ქართველი ვიზიტორების რიცხვი იზრდება, რაც სარეკლამო კამპანიის დამსახურებაა. რაც შეეხება უცხოელებს, როგორც სოფო რაინაული ამბობს, ვიზიტორები ჭარბობენ ისრაელიდან, გერმანიიდან, ამერიკიდან და ჩეხეთიდან.



როგორც თუშეთის ნაკრძალში აცხადებენ, ტურისტების ძირითადი პრეტენზიები ნაკრძალამდე მისასვლელ გზას და შიდა ინფრასტრუქტურას ეხება.

— ძირითადი, რაზეც აქცენტი კეთდება არის ის, რომ უფრო მეტად სჭირდება მოწესრიგება ბილიკებს ნაკრძალში და გზას, რომელიც მოდის ნაკრძალამდე, რადგანაც საკმაოდ რთულ და ექსტრემალურ გზად მიიჩნევა, — აცხადებენ ნაკრძალში.

სპეციალისტის ინფორმაციით, ყველაფერთან ერთად, წელს განხორციელდება თუშეთის ინტერნეტიზაცია, ასევე, მოხდება თუშეთის სივრცითი მოწყობა და დაიწყება აეროდრომის მშენებლობა. დართლოს რეაბილიტაცია წელს ისევ გაგრძელდება, მისი დასრულების შემდეგ კი სოფელ დოჭუს რეაბილიტაცია იგეგმება.

თუშეთის ნაკრძალში სეზონი მაისში იხსნება და ოქტომბრის ბოლომდე გრძელდება.

**სალომე მეცხვარიშვილი,**
**ბიზნესკონტრაქტი**

# გადასახადის 2.205 გადამხდელს ბიუჯეტიდან 173.902.360 ლარი დაუბრუნდა

2016 წელს შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტს ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნით 2.205-მა გადამხდელმა მიმართა.

უწყების ცნობით, გადასახადის გადამხდელებს ბიუჯეტიდან 173.902.360 ლარის ოდენობის თანხა დაუბრუნდათ.

შემოსავლების სამსახურის ანგარიშის მიხედვით, 2016 წლის ივლისიდან ამოქმედდა მეწარმე სუბიექტებისათვის ზედმეტად გადახდილი თანხის ავტომატურად დაბრუნების სერვისი და 31 გადამხდელს დაუბრუნდა 2.301.784 ლარი

ამასთან, 2016 წელს საქართველოში გრანტითა და ჰუმანიტარული დახმარების მიზნით შემოსატანი 350 გადამხდელის საიმპორტო საქონლისათვის მინიჭებულ იქნა გრანტის სტატუსი, ხოლო 137 გადამხდელის საიმპორტო საქონლისთვის — ჰუმანიტარული დახმარების სტატუსი.

# გელა ნიკოლაიშვილი: „ჩემს ყოფილ კლიენტს ნარკოტიკი ჩაუდეს“

## „პირი, იმის გამო, რომ ადრე ნასამართლევი იყო, უდანაშაულოდ ციხეში არ უნდა გაუშვა“

ნონა ცაბაძე

ბოლო პერიოდია, აქტიურად გვესმის განცხადებები იმის თაობაზე, რომ ქვეყანაში კრიმინალმა იმატა, რომ წვრილმანი ხულიგნობა, ქუჩაში მობილურებისა და ქურთუკების წართმევის ფაქტი ხშირია. რატომ გაექცათ სამართალდამცავებს სიტუაცია, გამოიღებს თუ არა შედეგს გახშირებული რეიდები, რატომ იმატა ნარკოტიკების ჩადებამ? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ იურისტი, უფლებადამცველი **გელა ნიკოლაიშვილი** ესაუბრება.

***– ბატონო გელა, ხშირია ქუჩის კრიმინალი, წვრილმანი ხულიგნობა. კეთდება შეფასებები, რომ ეს მიზანმიმართული პროცესია, რომ ეს ყველაფერი შევარდნაძის ეპოქაში გვაბრუნებს. რა ხდება რეალურად?***

– დანაშაულმა რომ იმატა, ეს ფაქტია, თუმცა ძნელია ასე ერთმნიშვნელოვნად შეფასება, თუ რატომ იმატა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულმა წვრილმანმა დანაშაულმა. აქ მიზეზების კომპლექსია – დაბალი სოციალური მდგომარეობა, მძიმე ეკონომიკური ფონი, უმუშევრობის ზრდა. გარდა ამისა, ქვეყანაში არ არის ისეთი რეჟიმი, რომელიც ტოტალური კონტროლის საშუალებას მისცემდა სამართალდამცავებს. შიში ნაკლებია და ეს ყველა მიზეზი ერთობლიობაში იძლევა ასეთ შედეგს.

***– ამ ფონზე გახშირდა რეიდები შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან. ეს ყველაფერი ამას უკავშირდება?***

– ის ქმედებები, რომლებიც ამას დაუპირისპირა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სრულიად მიუღებელია. ათეულობით და ასეულობით ადამიანისთვის ხელის მოხვევა და ერთი ხელის მოსმით ყველა იმ ადამიანის ციხეში შეყრა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, იმიტომ, რომ მას კრიმინალური წარსული აქვს, ყოვლად დაუშვებელია.

***– აქვს მსგავს შემთხვევებს ადგილი?***

– სამწუხაროდ, იმატა ასეთმა ფაქტებმა. ორი დღის წინაც ერთ ახალგაზრდას მიადგნენ, რომელსაც მე კარგად ვიცნობ, ადრე ვიცავდი და ზუსტად ვიცი, რომ არაფერი ჩაუდენია და არც ნარკოტიკი ჰქონია. ჩხრეკა ჩაატარეს მის ბინაში და ნული მთელი რაღაც მეასედებისთვის ციხეში გაუშვეს. თუმცა ესეც თვითონ ჩაუდეს, რადგან მას არ ჰქონია. ადრეც არაერთხელ იყო მისი დაკავების მცდელობა, თუმცა ვერცერთხელ ვერ მოახერხეს.

***– თუ არაფერი დაუშავებია, რატომ დასდევდნენ?***

– ნამდვილად სუფთა იყო, არანაირი შეხება კრიმინალთან არ ჰქონია, თუმცა მაინც მოახერხეს მისი დაკავება. ამ ყველაფერს იმიტომ ვყვები, რომ ასეთმა ფაქტებმა იმატა.

***– რეიდებს ხშირად ატარებს შინაგან საქმეთა სამინისტრო და ეს მომატებული კრიმინალით აიხსნება? ეს დაუპირისპირეს შექმნილ ვითარებას?***

– შეიძლება, კრიმინალმა მართლაც მოიმატა, მაგრამ ეს არ არის სწორი სტრატეგია. როგორც ჩანს, მათ ჩათვალეს, რომ რეიდებისა და ასეთი ჩადებების საშუალებით უნდა დაუპირისპირდნენ. სახალხო დამცველმაც გაავრცელა ინფორმაცია ერთ-ერთ პირზე, რომელიც ასევე ნასამართლევი იყო და მასაც სახალხო დამცველის წარმომადგენლის თვალწინ უდებდნენ ნარკოტიკს.

***– აქცენტი კეთდება ნასამართლევ პირებზე. ისინი ითვლებიან მთავარ ეჭვმიტანილებად?***

– დიახ. მათი აზრით, რადგან ნასამართლევია, რაღაცაში მაინც იქნება გარეული. კონკრეტული და ხელჩასაჭიდი არაფერი აქვთ. ნარკოტიკის ჩადება კი ძალიან მარტივია. ზოგს იარაღსაც უდებენ. ეს სრულიად არაეფექტური მეთოდია და ძალიან ხშირად უკურეაქციას იწვევს. იმის გამო, რომ პირი ადრე ნასამართლევი იყო, უდანაშაულოდ ციხეში არ უნდა გაუშვა!

***– დღეს ყველა თანხმდება იმაზე, რომ სამართალდამცავ უწყებებს სიტუაცია გაექცათ. ასეა? სერიოზულად გაიზარდა ქვეყანაში კრიმინალი?***

– ვერ ვიტყოდი, რომ ასე სერიოზულად იმატა. კი, გარკვეული მატება არის, მაგრამ არც ისე საგანგაშო მდგომარეობაა. არის ქუჩაში დახვედრების, დაყაჩაღებისა და მკვლელობის ფაქტებიც, თუმცა ეს ადრეც იყო. აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ გახსნის ხარისხი იყოს მაღალი. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ის თავისი დანაშაულისთვის წავა ციხეში და არა ისე, რომ მე ჩავიდენ დანაშაულს და სხვას დაიჭერენ, იმიტომ, რომ მას სუფთა წარსული არ აქვს და მას შეახოცავენ ხელს. ამას ხაზს ვუსვამ, რადგან ასეთმა შემთხვევებმა იმატა. დღეს პოლიცია, სამართალდამცავი უწყებები საქმის გახსნაზე კი არ არიან ორიენტირებული, არამედ საეჭვო პირების დაკავებაზე არიან გადასული.

***– და ამ დროს დანაშაულს სხვა ჩადის?***

– ამ დანაშაულს, შესაძლოა, ისეთი პირები ჩადიან, რომლებიც ნასამართლევი არ არიან.



სამართალსაც ადვილად უძვრებიან, რადგან მათზე ეჭვი არ მიაქვთ. ამ რეიდებსა და პოლიციის გააქტიურებას ბევრი უსამართლობა ახლავს თან. ძირითადად ეს რეიდები მიზანმიმართულია. დანაშაული არ არის კოლექტიური პასუხისმგებლობის საგანი! დანაშაული არის ინდივიდუალური და კონკრეტულად უნდა იყოს მუშაობა კონკრეტული პირების წინააღმდეგ. ეს მომზადებული მივარდნები და ჩადებები შედეგს არ მოიტანს, პირიქით, ამას უკურეაქცია ექნება.

***– ანუ ნარკოტიკისა და იარაღის ჩადება, რაც წინა წლებში ასე ხშირი იყო, კვლავ გააქტიურდა?***

– სამწუხაროდ, ასეა, თანაც როდესაც ისეთ პირებს უდებენ, რომლებიც ადრეც ნასამართლევი არიან, ამას მოსამართლეც ადვილად იჯერებს და ადვილად უფარდებს თავისუფლების აღკვეთას. ასე რომ, დანაშაულის მატებასთან ერთად, უსამართლობის ფაქტებმაც იმატა, რაც ძალიან ცუდი შედეგის მომტანი იქნება. სამართალდამცავებმა უნდა იმოქმედონ სამართლიანად, კანონიერად, შეიძლება – მკაცრადაც, მაგრამ კანონის ჩარჩოებს არ უნდა გასცდნენ.

დღეს დანაშაულს სწორედ ისინი ჩადიან, ვინც პოლიციის მხედველობის არეში საერთოდ არ არიან მოხვედრილები. პოლიციამ გაცილებით მეტი უნდა იმუშაოს, თორემ ყველასთვის ადვილია სახელგატეხილი და წარსულშებღალული პიროვნებების ხელის მოსმა და ციხეში შეგდება.

***– ვრცელდება ასეთი ინფორმაციებიც, რომ არსებობენ სპეციალური ჯგუფები, რომლებსაც კონკრეტული ძალები მართავენ და ისინი ფონის დასამძიმებლად მიზანმიმართულად უწყობენ ხელს ქუჩის კრიმინალს, რათა ხალხის გაღიზიანებასა და საპროტესტო მუხტს შეუწყონ ხელი. ასეა?***

– მე ყოველთვის წინააღმდეგი ვარ შეთქმულების თეორიის, თუმცა ამ შემთხვევაში არ გამორიცხავ, რომ ასე იყოს. ამასაც გამოკვლევა და გამოძიება უნდა. თუკი ასეა, პოლიციას გაცილებით მეტი სამუშაო აქვს.

***– ოპოზიციური პარტიების ნაწილი მთავარი პროკურორის გადადგომის მოთხოვნით გამოდის. ამის თაობაზე რას ფიქრობთ?***

– ამ მოთხოვნას არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ აქვს. ეს წმინდა წყლის პოლიტიკური მოთხოვნაა. მხოლოდ იმისთვის, რომ ეს საკითხი დადგეს დღის წესრიგში, მათ 50 ხელმოწერა სჭირდებათ, მაშინ როცა 25 ხელმოწერაზე მეტს ვერ შეაგროვებენ. თავადაც კარგად იციან, რომ აქედან არაფერი გამოუვათ, უბრალოდ, ხმაურის ასატეხად სჭირდებოდათ.

***– მთავარმა პროკურორმა საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა?***

– მთავარმა პროკურორმა განმარტა, თუ რაში იყო საქმე. მე დეტალებში აღარ შევალ. ოპოზიციის წარმომადგენლებს თუ რაიმე პრეტენზია შეიძლება ჰქონდეთ, ეს უნდა ჰქონდეთ პოლიტიკოსებთან, რომლებმაც გაბერეს ეს თემა. ყველამ ერთბაშად აიტაცა იგი და ძალიან ხელოვნურად გაბერილი გამოვიდა, პროკურატურა კი სრულიად სხვა რამეს ამბობდა. გარკვევით ითქვა, რომ საუბარი იყო ერთ კონკრეტულ პირზე. მე ნამდვილად არ ვთვლი, რომ მაინცდამაინც პატრიარქის მკვლელობის მომზადებაა დანაშაული და სხვისი მკვლელობის დაგეგმვა – არა. ასე რომ, ამ შემთხვევაში პროკურორი არაფერ შუაშია.

არც ის დროა შორს, როდესაც ამ ყველაფერს გავიგებთ, მოვისმენთ და მე მგონია, რომ ძალიან ბევრს შერცხვება, განსაკუთრებით მათ, ვინც ამბობდა, რომ ამ ყველაფერს საფუძველი არ აქვს, ეს მოგონილია, სპექტაკლია და ასე შემდეგ.

# პოლიციამ გატაცებული მამაკაცი გაათავისუფლა




### სპეცოპერაცია სამგორში

გუშინ, 26 თებერვალს, სამგორში სპეცოპერაცია ჩატარდა.

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა დააკავეს 5 პიროვნება:

1960 წელს დაბადებული ზ.კ., 1957 წელს დაბადებული ქ.ო., 1967 წელს დაბადებული გ.ვ., 1970 წელს დაბადებული ნ. გ. და 1968 წელს დაბადებული ო.მ.

მათ ბრალად ედებათ ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდება და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარება.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, ფულის გამოძალვის მიზნით, 1974 წელს დაბადებული რ.ა. ლილოს ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფიზიკური ძალის გამოყენებით მისსავე კუთვნილ ავტომანქანაში ჩასვეს და თბილისის ზღვის მიმართულებით გაიტაცეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებულები ცხელ კვალზე, მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს.

პოლიციამ დაკავებულების პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას ნაგანის ტიპის არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო ვაზნები, ერთჯერადი ხელბორკილები, ნიღბები, ცივი იარაღი, თავზე ჩამოსაცმელი ტომარა, ღვედები, წებოვანი ლენტი და დაზარალებულისთვის წართმეული 5.600 ლარი ნივთმტკიცებად ამოიღო.

# ქუთაისი-წყალტუბოს გზაზე ავარია მოხდა

ქუთაისი-წყალტუბოს დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე მომხდარი ავარიის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა და 2 დაშავდა.

თვითმხილველების თქმით, ავარიის დროს ერთმანეთს ჟიგულის მარკის 2 ავტომობილი და „მიცუბიშის“ მარკის ავტომობილი შეეჯახნენ.

ერთ-ერთ ავტომობილს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ცეცხლი გაუჩნდა. ჟიგულის მარკის ავტომობილი ხილით იყო დატვირთული.




როგორც ინტერპრესნიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# გორში მომხდარ ავარიას მსხვერპლი მოჰყვა

გორში მომხდარ ავარიას მსხვერპლი მოჰყვა.

ნიუპოსტის კორესპონდენტის ცნობით, ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურთან ავტომობილი ქვეითად მოსიარულეს დაეჯახა. დაშავებული მამაკაცი მიყენებული ტრავმების შედეგად გარდაიცვალა.

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო.

# საგარეჯოში ძლიერი ქარის შედეგად მოგლეჯილმა სახურავმა 10 ავტომანქანა დააზიანა




ქალაქ საგარეჯოში ძლიერმა ქარმა შენობას სახურავი გადახადა. შენობაში რამდენიმე ოფისია განთავსებული. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

საგარეჯოს გამგებელ გიორგი გზირიშვილის განცხადებით, სახურავი გზაზე გადმოვარდა და 10 მანქანა დააზიანა.

გამგებელი ვერ აკონკრეტებს, რა სახით დაეხმარებიან დაზარალებულებს.

# ქვიტირის გზაზე ავტოავარიას მოზარდი ემსხვერპლა

ქუთაისთან ახლოს, ქვიტირის გზაზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

თვითმხილველების თქმით, მიკროავტობუსი მსუბუქ ავტომობილს დაეჯახა, რის შედეგადაც მიკროავტობუსში მყოფი მოზარდი დაიღუპა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს.

# 70 წლის მამაკაცი გააშიშვლეს და ცემეს

### ყაჩაღობა სოფელ მესხეთში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მესხეთში შალამბერიძეების ოჯახი დააყაჩაღეს.

როგორც ოჯახის წევრები აცხადებენ, ოჯახის უფროსს საკუთარ საცხოვრებელ სახლში რამდენიმე ნიღბიანი პირი დახვდა, რომლებმაც 70 წლამდე მამაკაცს თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს, ჯიბეში არსებული თანხა წაართვეს, შემდეგ გაიტაცეს, გააშიშვლეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ.

– რაც ფული ჰქონდა ჯიბეში, ამოაცალეს და წაიღეს, შემდეგ კი გაიტაცეს და სცემეს. გააშიშვლეს და ასე მიატოვეს. არ ვიცით, რატომ მოიქცნენ ასე, – აცხადებენ დაზარალებულის ოჯახის წევრები.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით დაიწყო, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

2017, 27 თებერვალი, №48

# რუსეთი დონბასში ახალ პროვოკაციებს ამზადებს

## ამერიკელი დიპლომატი: „აშშ-ის მხარდაჭერა უკრაინისადმი გაიზრდება“

უკრაინის უშიშროების სამსახურის ექსშეფი, გენერალი ევგენი მარჩუკი ფიქრობს, რომ დონბასში ზამთრის ესკალაცია კრემლის მიერ იყო დაგეგმილი. მარჩუკმა სირიის მოვლენებთან პარალელი გააკეთა და აღნიშნა, რომ ალეპოს აღების შემდეგ სირიაში ინიციატივას რუსები დაეუფლნენ. პუტინს სურდა, დონბასშიც იგივე გამეორებულიყო.

– მინსკის შეხვედრაზე ჩვენ შევთანხმდით, რომ მოხდებოდა ჯარების დაშორიშორება, გავიყვანდით მძიმე ტექნიკას, ამის შემდეგ კი დონბასში სიჩუმის რეჟიმი ამოქმედდებოდა. დონბასელი სეპარატისტები ამას დათანხმდნენ, მაგრამ პუტინმა სხვაგვარად გადაწყვიტა. მძიმე ტექნიკა გავიყვანეთ თუ არა, რუსები შეტევაზე გადმოვიდნენ! – თქვა მარჩუკმა.


მარჩუკი

უკრაინულმა არმიამ შეტევა მოიგერია და კონტრდარტყმებიც განახორციელა. წინ არა რუსებმა, არამედ უკრაინელებმა წაიწიეს. პუტინის გეგმა ჩაიშალა.

მარჩუკის აზრით, ამ ეტაპზე რუსეთის ფართომასშტაბიანი ინტერვენციის საფრთხე არსებობს, მაგრამ კრემლს სურს, ეს ისე მოხდეს, რომ ესკალაცია უკრაინას დაბრალდეს. მოსკოვიც პროვოკაციას ამზადებს. რუსეთის მიერ „დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების“ პასპორტების აღიარებაც ამ პროვოკაციის ერთ-ერთი ნაწილია.

– კრემლში იმედოვნებდნენ, რომ ჩვენ ემოციებს ავყვებოდით და მინსკის შეთანხმებებიდან გასვლის შესახებ განვაცხადებდით. ამის შემდეგ არ გამოვრიცხავ, რუსული არმია მართლაც შემოჭრილიყო უკრაინაში, – ამბობს მარჩუკი.

გენერალმა ხაზი გაუსვა, რომ ზოგიერთი უკრაინელი პოლიტიკოსი ემოციებს მართლაც აჰყვა და პარლამენტის ტრიბუნიდან დაუფიქრებელი განცხადებები გააკეთა. პრეზიდენტმა პოროშენკომ კი სიტუაციას ალღო სწრაფად აუღო და რუსული პროვოკაცია ჩაიშალა.

– მიუხედავად ამისა, გულარხეინობას არ უნდა მივეცეთ! რუსეთი ჩვენ წინააღმდეგ ახალ პროვოკაციებს ამზადებს, – ამბობს მარჩუკი.

უშიშროების ექსშეფის აზრით, რუსეთი შეეცდება, აიძულოს უკრაინა, მინსკის შეთანხმებებიდან გავიდეს. უახლოეს პერიოდში რუსული სპეცსამსახურების მუშაობაც აქეთკენ იქნება მიმართული.

ამას უკრაინელი პოლიტოლოგი ვადიმ კარასიოვიც ეთანხმება. ის ხაზს უსვამს, რომ რუსეთში 2018 წელს არჩევნებია დანიშნული. გამომდინარე აქედან, დონბასის თემა რუსებისთვის უაღრესად მტკივნეული ხდება. კარასიოვი მიიჩნევს, რომ პუტინი 2017 წლის ბოლოს ან 2018 წლის დასაწყისისათვის დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას აღიარებს. მინსკის სამშვიდობო პროცესიც განწირულია.

– კრემლი შეეცდება, უკრაინა მინსკის შეთანხმებებიდან გავიდეს და სამშვიდობო პროცესის ჩაშლაც მას დაბრალდეს, – თქვა კარასიოვმა.

აშშ-ის ყოფილი ელჩი უკრაინაში ჯონ ჰერბსტი თვლის, რომ ასეთ სიტუაციაში კიევს ვაშინგტონის მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს.

– აბსოლუტურად საფუძველმოკლებულია იმისი შიში, რომ ტრამპის ადმინისტრაცია უკრაინას ზურგს შეაქცევს. პირიქით, უკრაინისადმი მხარდაჭერა გაიზრდება, – აცხადებს ჰერბსტი.

# მთიან ყარაბაღში შეტაკებები განახლდა

მთიან ყარაბაღში კვლავ სისხლი იღვრება. აზერბაიჯანის ტელევიზიის ინფორმაციით, სომხეთის შეიარაღებული ძალები შეტევაზე გადავიდნენ და აზერბაიჯანელთა თავდაცვითი ზღუდეების გარღვევა ცადეს.

– მტრის შეტევა მოგერიებულია. სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა დიდი დანაკარგით დაიხიეს უკან. სამწუხაროდ, მსხვერპლი ჩვენს რიგებშიც არის, – იტყობინება აზერბაიჯანის ტელევიზია.



პრეზიდენტმა ალიევმა თავის ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ აზერბაიჯანი თავის ტერიტორიას არ დათმობს. მან მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის აღიარების შესაძლებლობა გამორიცხა.

– ყარაბაღი აზერბაიჯანის განუყოფელი ნაწილია! ეს ასე იყო, არის და იქნება! – თქვა ალიევმა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მის რესპუბლიკას უკვე საკმაოდ ძლიერი შეიარაღებული ძალები ჰყავს და შესწევს ძალა, ოკუპანტები გააძევოს.

სომხური მედია კი ირწმუნება, რომ შეტევაზე გადასვლა აზერბაიჯანელებმა ცადეს.

– მოწინააღმდეგის შეტევა მოგერიებულია, თუმცა დანაკარგები ჩვენს რიგებშიც არის, – იტყობინება სომხეთის ტელევიზია.

# ტომ პერესი ამერიკელი დემოკრატების ახალი ლიდერი გახდა

ამერიკის დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე შეიცვალა. ამ პოსტზე ტომ პერესი აირჩიეს.


პერესი ელისონი

არჩევნებში მან კით ელისონს მოუგო.

გამარჯვების შემდეგ პერესმა განაცხადა, რომ ახლა, როგორც არასოდეს, აუცილებელია პარტიის ერთიანობის შენარჩუნება. მან ელისონს თავისი მოადგილეობა შესთავაზა.

ელისონმა შეთავაზება მიიღო.

# ტერაქტები სირიაში

სირიის ქალაქ ჰომსში, რომელსაც ასადის მომხრეები აკონტროლებენ, ტერაქტების სერია განხორციელდა.



თვითმკვლელმა ტერორისტებმა თავი უშიშროებისა და სამხედრო დაზვერვის შენობებთან აიფეთქეს.

შედეგად დაღუპულია 42 ადამიანი, ბევრი დაიჭრა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ექსტრემისტულმა ორგანიზაცია „ალ-ნასრამ“ („ალ-ქაიდას“ სირიული ფილიალი) აიღო.

გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ტერაქტების სერია გაგრძელდება.

# სისხლიანი ტრაგედია ჰაიდელბერგში

გერმანიის ქალაქ ჰაიდელბერგში ავტომობილი ხალხის ნაკადში შეიჭრა და ფეხით მოსიარულეები დააზიანა.



მძღოლი დანით იყო შეიარაღებული. პოლიციამ მისი დაკავება ცადა, მძღოლი კი გაქცევას შეეცადა. მაშინ პოლიციელებმა ცეცხლი გახსნეს და მძღოლი დაჭრეს, შემდეგ კი დააკავეს.

ჯერჯერობით უცნობია, ეს შეშლილის გამოხდომა იყო თუ ტერაქტი.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

# ანკარაში ყირიმელ თათართა საპროტესტო აქცია გაიმართა

ყირიმელმა თათრებმა თურქეთის დედაქალაქში საპროტესტო აქცია გამართეს.

მათ ანკარის ქუჩებში მსვლელობა გამართეს. მანიფესტანტებს მოჰქონდათ ტრანსპარანტები, რომლებზეც ეწერა: „არა ყირიმის ოკუპაციას!“ „რუსებო, წადით ყირიმიდან“ და ა.შ.

მანიფესტანტები მიადგნენ რუსეთის საელჩოს, სადაც მიტინგი გამართეს. მათ საელჩოს შენობასთან შავი გვირგვინი დადეს.

– „ძირს ოკუპანტები!“ „ყირიმი უკრაინის განუყოფელი ნაწილია!“ – ეწერა გვირგვინზე.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# უკრაინის პრეზიდენტმა საინფორმაციო უსაფრთხოების დოქტრინა დაამტკიცა

პეტრო პოროშენკომ ხელი მოაწერა საინფორმაციო უსაფრთხოების დოქტრინას, რომლის მიზანია რუსეთის აგრესიულ პროპაგანდასთან ბრძოლა.



აღნიშნული დოქტრინა პრეზიდენტის დავალებით უკრაინის უშიშროების საბჭომ მოამზადა.

თავად პოროშენკომ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ უკრაინა უკვე მესამე წელია, რუსეთთან ჰიბრიდული ომის მდგომარეობაში იმყოფება. ასეთ სიტუაციაში საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

– რუსეთის პროპაგანდა ჩვენ წინააღმდეგ მუშაობს და სულ უფრო აგრესიულ ხასიათს იძენს. რუსები უკრაინელი ერის არსებობას უარყოფენ, გვიწყობენ შეთქმულებებს, დივერსიებს, ტერაქტებს. ეს გვაიძულებს, კონტრზომები მივიღოთ, – თქვა პოროშენკომ.

# ბრძოლები მოსულთან გრძელდება

ერაყის ქალაქ მოსულში ბრძოლები გრძელდება.

ერაყის არმია ცდილობს, ქალაქის ცენტრისაკენ გაიჭრას და დაამყაროს კონტროლი როგორც სამთავრობო, ასევე თურქეთის საელჩოს შენობებზე.

ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები საცხოვრებელ სახლებში გამაგრდნენ და ერაყელ სამხედროებს ცეცხლს იქიდან უხსნიან. ისინი მოსახლეობას ცოცხალ ფარად იყენებენ.

მოსული ერაყში ექსტრემისტების უკანასკნელი დასაყრდენია, ამიტომაც ისინი ამ ქალაქს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავენ.

# ქურთი ჟურნალისტი ქალი პირდაპირ ეთერში აფეთქდა




ერაყში, მოსულთან, ქურთი ჟურნალისტი ქალი გზასთან ახლოს დამონტაჟებული ნაღმის ამოქმედების შედეგად პირდაპირ ეთერში აფეთქდა.

30 წლის შიფა გარდი ერაყის სახელისუფლებო ძალების მიერ ისლამური სახელმწიფოსგან მოსულის გათავისუფლებას აშუქებდა.

ქურთების ტელეკომპანია „რუდავმა“, რომლისთვისაც ახალგაზრდა რეპორტიორი მუშაობდა, მას უწოდა მამაცი ჟურნალისტი, პროფესიონალი, რომელმაც სტერეოტიპების დამსხვრევა შეძლო და დაამტკიცა, რომ სამხედრო ჟურნალისტად მუშაობა ქალებსაც შეუძლიათ.


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# საკალათბურთო ტური ქუთაისის გამარჯვებით დასრულდა

**ქუთაისი-ოლიმპი 85:74**
**(20:25, 19:17, 18:21, 28:11)**

სუპერლიგის მე-18 ტური ქუთაისში მოგვიანებით დასრულდა. მასპინძლებმა, რომლებმაც ოლიმპი წინა დღეს თასის გათამაშების მეოთხედფინალში დაამარცხეს, მას სუპერლიგის ეგიდითაც მოუგეს. იმერულმა კლუბმა „ოლიმპს" 85:74 სძლია და სუპერლიგაში მე-14 გამარჯვება მოიპოვა.



ალსანიშნავია, რომ ოლიმპელებმა ღირსეულად იბრძოლეს და ბოლო მეოთხედის წინ ლიდერობდნენ კიდეც. ლეონიდ ივატინის გაწვრთნილმა თბილისურმა გუნდმა პირველი მეოთხედი 25:20 მოიგო, დიდი შესვენებისთვის კი ლიდერობა 3 ქულამდე შეუმცირდა. ოლიმპის კალათბურთელებმა მასპინძლებს ტოლი არც მესამე 10-წუთეულში დაუდეს და 21:18 მოგებული პერიოდის შემდეგ 6 ქულით გალიდერდნენ – 63:57.

გადამწყვეტ პერიოდში კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისმა დაცვა გაამაგრა და გუნდური თამაშის წყალობით გამარჯვების მოპოვება მოახერხა. მასპინძელთაგან ხუთმა კალათბურთელმა მიაღწია 10-ქულიან ზღვარს, რომელთაგან 14 ქულით ბომბარდირი აკაკი ლომოური გახდა. 12-12 ქულა სამმა კალათბურთელმა – გიორგი ბარბაქაძემ, ზაურ ფაშაევმა და გიორგი ცინცაძემ მოახერხა.

ოლიმპს 25 ქულით რეზო როგავამ ულიდერა, 12-12 ქულა კი გივი ბაქრაძემ და ტრე ბურნეთმა მიითვალეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 18 | 17 | 1 | 1590-1297 | 35 |
| 2.ქუთაისი | 18 | 14 | 4 | 1441-1334 | 32 |
| 3.რუსთავი | 18 | 10 | 8 | 1424-1435 | 28 |
| 4.კაქტუსი | 18 | 8 | 10 | 1456-1532 | 26 |
| 5.ბათუმი | 18 | 7 | 11 | 1389-1424 | 25 |
| 6.სოხუმი | 18 | 7 | 11 | 1512-1564 | 25 |
| 7.ოლიმპი | 18 | 5 | 13 | 1254-1348 | 22 |
| 8.მგზავრები | 18 | 4 | 14 | 1321-1453 | 22 |

**შენიშვნა: ოლიმპს დაკლებული აქვს 1 ქულა**

# ბორჯღალოსნები ესპანეთთან შეცვლილი შემადგენლობით ითამაშებენ

რაგბი ევროპის პირველობის ერთპიროვნული ლიდერი, საქართველოს ნაკრები მესამე ტურში ესპანეთის ეროვნულ გუნდს ოდნავ შეცვლილი შემადგენლობით ეწვევა. ბორჯღალოსნები ესპანეთში უკვე გაემგზავრნენ, ხოლო მატჩი შაბათს, 4 მარტს, 19 საათზე დაიწყება.



ბორჯღალოსნები პირდაპირ ვალიადოლიდში, სადაც შეხვედრა უნდა ჩატარდეს, არ ჩასულან – გუნდი ჯერ ბარსელონის მახლობლად, სან-ვოიში დაბანაკდა, სადაც 2 მარტამდე დარჩება და შემდეგ მედინა-დელკამპოში გაემგზავრება.

შეგახსენებთ, რომ საწყის 2 ტურში ბორჯღალოსნებმა ორჯერვე ბონუსით და ლელოს გაუშვებლად ძლიეს წინდაწინვე სუსტებად შერაცხული მეტოქეები – სტუმრად ბელგია 31:6 და შინ გერმანია 50:6. გერმანელებთან მატჩისას დაგვემტვრა ორივე კვაჭი, მილთონ ჰეიგმა საესპანეთოდ იხმო „ძველი გვარდია" – ჯაბა ბრეგვაძე და შალვა მამუკაშვილი.

რადგან ესპანეთი ბელგიასა და გერმანიაზე ძლიერია, ჰეიგმა შერკინებას მონპელიეს მეორეხაზელი კოტე მიქაუტაძეც დაუმატა.

# ფაჩულია წარმატებით დაბრუნდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ცდიდან სამივე ორქულიანი გამოიყენა.

ფაჩულიასთვის მიმდინარე თვეში ეს პირველი მატჩი იყო. ქართველმა კალათბურთელმა 30 იანვარს, პორტლენდთან მოგებულ მატჩში მხრის ტრავმა მიიღო და 8 მატჩი გამოტოვა. ქართველი ცენტრის მოედანზე დაბრუნება კი შთამბეჭდავი გამოდგა: მისი ოპონენტი გახლდათ დეანდრე ჯორდანი, ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო დამფარებელი, რომელმაც მატჩში ერთი ბლოკ-შოტიც კი ვერ მიითვალა. სხვა მხრივ ჯორდანი მეტ-ნაკლებად აქტიური იყო და მოედანზე გატარებულ 31 წუთში 17 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა, თუმცა საკუთარ გუნდს მაინც ვერ უშველა.

გოლდენ სტეიტმა, რომელიც პირველი ტაიმის შემდეგ 49:61 აგებდა, კლიპერსი მე-3 მეოთხედში გატეხა. ოკლენდელებმა თანაშტატელებს თავბედი აწყევლინეს და პერიოდი 50:26 მოუგეს, რის შემდეგაც გამარჯვებამდეც იოლად მივიდნენ – 123:113.

ფაჩულია კვლავ შედეგიანად გაისარჯა ბრუკლინ ნეთსთან გამართულ მატჩში, სადაც პარკეტზე 20 წუთი დაჰყო და ორმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდა.

გოლდენ სტეიტი ერთ-ერთი ლიდერის, კევინ დიურანტის გარეშე თამაშობდა და აღმოსავლეთ კონფერენციის საშუალოზე სუსტ გუნდთან მოსაგებად ჯაფა დაადგა. მართალია, საბოლოოდ მასპინძლებმა 112:95 იმარჯვეს, თუმცა მეტოქე ბოლო პერიოდამდე შანსს ინარჩუნებდა, სანამ უკანასკნელ წუთებზე უორიორზის უპირატესობამ 20 ქულას არ მიაღწია.

ფაჩულიამ სასტარტო ხუთეულში დაიწყო და მთლიანობაში მოედანზე 20 წუთი გაატარა. ქართველმა ცენტრმა 5-დან 3 ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. 8 ქულასთან ერთად ზაზამ 9 მოხსნა, 3 პასი და 1 დაფარება მიითვალა. აღსანიშნავია, რომ ქართველ ლეგიონერზე შედეგიანად გოლდენ სტეიტში მხოლოდ სტეფ კარი (27 ქულა) და კლეი ტომპსონი (24) გაისარჯნენ.

გოლდენ სტეიტი 49 მოგებითა და 9 წაგებით დასავლეთ კონფერენციის და სრულიად ლიგის ლიდერია. მორიგი მატჩი ფაჩულიას გუნდს სტუმრად ფილადელფიასთან ელის.

# მოურინიო და ანჩელოტი მწვრთნელების ბედზე ჩივიან

საფეხბურთო სპეციალისტები გაოცებული არიან ინგლისური ლესტერის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით კლაუდიო რანიერის გათავისუფლების გამო. თავად მწვრთნელების დიდი არმია თვლის, რომ მსგავსი რამ მოსალოდნელია, მაგრამ ეს არ იყო მართებული გადაწყვეტილება.

– არავის არ ძალუძს ისტორიის წაშლა, რომელიც რანიერიმ შექმნა, – ასე გამოეხმაურა ინგლისური კლუბის გადაწყვეტილებას ჟოზე მოურინიო.

პორტუგალიელს მიუნხენის ბაიერნის იტალიელი თავკაცი კარლო ანჩელოტი აჰყვა:

– ხშირად არ ვეთანხმები მოურინიოს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მის აზრს აბსოლუტურად ვიზიარებ. რა შემიძლია ვთქვა? ამით ყველანი გაოცებულები ვართ. მწვრთნელის გათავისუფლება სამწვრთნელო მუშაობის ნაწილს წარმოადგენს. მადრიდის რეალიდან და ლონდონის ჩელსიდან საკუთარი სურვილით არ წამოვსულვარ, ასე რომ ეს საკითხი ჩემთვის უცხო ნამდვილად არ არის. ლესტერმა მადლიერება უნდა გამოხატოს რანიერის მიმართ. მან კლუბის ისტორია დაწერა.

შესაძლოა, კლაუდიომ ეს სხვა რომელიმე გუნდშიც მოახერხოს, შემდგომ ისევ გაათავისუფლონ. ეს სამწვრთნელო მუშაობის ნაწილია. როდესაც კლუბს აქვს პრობლემა, 20 ფეხბურთელს ვერ გაუშვებ. როდესაც ყველაფერი კარგად მიდის, ფეხბურთელებს სათანადოდ აფასებენ, მაგრამ, როდესაც ჩავარდნაა, მაშინ მხოლოდ მწვრთნელის ბრალეულობაზე საუბრობენ. ჩვენ ამაში გვიხდიან ხელფასს.

შეგახსენებთ, რომ ლესტერის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების შესაბამისად, კლაუდიო რანიერი გადაყენებულ იქნა მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან. 65 წლის სპეციალისტი ხსენებულ კლუბში 2015 წლიდან მუშაობდა. 2015-16 წლების საფეხბურთო სეზონში რანიერის თავკაცობით ლესტერმა ინგლისის პრემიერლიგა მოიგო.



# შედეგები

## 25 თებერვალი

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

ჩელსი-სუონსი ........................ 3:1
კრ.პალასი-მიდლსბრო ................. 1:0
ევერტონი-სანდერლენდი ............... 2:0
ჰალი-ბარნლი ......................... 1:1
ვესტ ბრომვიჩი-ბორნმუთი ............. 2:1
უოტფორდი-ვესტ ჰემი .................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 26 | 20 | 3 | 3 | 55-19 | 63 |
| 2.სიტი | 25 | 16 | 4 | 5 | 51-29 | 52 |
| 3.ტოტენჰემი | 25 | 14 | 8 | 3 | 46-18 | 50 |
| 4.არსენალი | 25 | 15 | 5 | 5 | 54-28 | 50 |
| 5.ლივერპული | 25 | 14 | 7 | 4 | 54-30 | 49 |
| 6.მანჩესტერი | 25 | 13 | 9 | 3 | 38-21 | 48 |
| 7.ევერტონი | 26 | 12 | 8 | 6 | 42-27 | 44 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 26 | 11 | 7 | 8 | 36-32 | 40 |
| 9.ვესტ ჰემი | 26 | 9 | 6 | 11 | 35-44 | 33 |
| 10.სტოკი | 25 | 8 | 8 | 9 | 30-36 | 32 |
| 11.ბარნლი | 26 | 9 | 4 | 13 | 28-37 | 31 |
| 12.უოტფორდი | 26 | 8 | 7 | 11 | 30-43 | 31 |
| 13.საუთჰემპტონი | 25 | 8 | 6 | 11 | 28-31 | 30 |
| 14.ბორნმუთი | 26 | 7 | 5 | 14 | 36-51 | 26 |
| 15.სუონსი | 26 | 7 | 3 | 16 | 32-57 | 24 |
| 16.მიდლსბრო | 26 | 4 | 10 | 12 | 19-28 | 22 |
| 17.კრ.პალასი | 26 | 6 | 4 | 16 | 33-46 | 22 |
| 18.ლესტერი | 25 | 5 | 6 | 14 | 24-43 | 21 |
| 19.ჰალი | 26 | 5 | 6 | 15 | 23-50 | 21 |
| 20.სანდერლენდი | 26 | 5 | 4 | 17 | 24-48 | 19 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ლიდსი-უენსდი ........................ 1:0
ასტონ ვილა-დერბი .................... 1:0
ბარნსლი-ჰადერსფილდი ................. 1:1
ბრენტფორდი-როტერჰემი ................ 4:2
კარდიფი-ფულემი ...................... 2:2
ნიუკასლი-ბრისტოლი ................... 2:2
პრესტონი-ქპრ ........................ 2:1
უიგანი-ნოტინგემი .................... 0:0
ბრაიტონი-რედინგი .................... 3:0

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ალავესი-ვალენსია .................... 2:1
ბეტისი-სევილია ...................... 1:2
ლეგანესი-დეპორტივო .................. 4:0
ეიბარი-მალაგა ....................... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 22 | 16 | 4 | 2 | 57-20 | 52 |
| 2.სევილია | 24 | 16 | 4 | 4 | 48-29 | 52 |
| 3.ბარსელონა | 23 | 15 | 6 | 2 | 63-19 | 51 |
| 4.ატლეტიკო | 23 | 13 | 6 | 4 | 43-19 | 45 |
| 5.სოსიედადი | 24 | 14 | 2 | 8 | 37-32 | 44 |
| 6.ვილიარეალი | 23 | 10 | 9 | 4 | 30-15 | 39 |
| 7.ეიბარი | 24 | 11 | 5 | 8 | 39-31 | 38 |
| 8.ბილბაო | 23 | 10 | 5 | 8 | 28-28 | 35 |
| 9.სელტა | 22 | 10 | 3 | 9 | 36-36 | 33 |
| 10.ალავესი | 24 | 8 | 9 | 7 | 24-29 | 33 |
| 11.ესპანიოლი | 23 | 8 | 8 | 7 | 30-31 | 32 |
| 12.ლას პალმასი | 24 | 7 | 7 | 10 | 32-36 | 28 |
| 13.ვალენსია | 24 | 7 | 5 | 12 | 34-43 | 26 |
| 14.მალაგა | 24 | 6 | 8 | 10 | 31-40 | 26 |
| 15.ბეტისი | 23 | 6 | 6 | 11 | 23-37 | 24 |
| 16.ლეგანესი | 24 | 5 | 6 | 13 | 20-39 | 21 |
| 17.დეპორტივო | 23 | 4 | 7 | 12 | 26-39 | 19 |
| 18.ხიხონი | 23 | 4 | 4 | 15 | 25-47 | 16 |
| 19.გრანადა | 23 | 3 | 7 | 13 | 21-49 | 16 |
| 20.ოსასუნა | 23 | 1 | 7 | 15 | 24-52 | 10 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კორდობა-ალკორკონი ................... 1:0
ელჩე-უესკა .......................... 1:1
მალიორკა-ტენერიფე ................... 1:4
მირანდესი-ხირონა .................... 0:2
ხეტაფე-რაიო ......................... 1:0

### გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-ჰამბურგი .................... 8:0
ლევერკუზენი-მაინცი .................. 0:2
დარმშტადტი-აუგსბურგი ................ 1:2
ფრაიბურგი-დორტმუნდი ................. 0:3
ლაიპციგი-კიოლნი ..................... 3:1
ჰერტა-აინტრახტი ..................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 22 | 16 | 5 | 1 | 54-13 | 53 |
| 2.ლაიპციგი | 22 | 15 | 3 | 4 | 41-22 | 48 |
| 3.დორტმუნდი | 22 | 11 | 7 | 4 | 46-23 | 40 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 21 | 9 | 10 | 2 | 38-21 | 37 |
| 5.ჰერტა | 22 | 11 | 4 | 7 | 30-24 | 37 |
| 6.აინტრახტი | 22 | 10 | 5 | 7 | 25-22 | 35 |
| 7.კიოლნი | 22 | 8 | 9 | 5 | 31-22 | 33 |
| 8.ლევერკუზენი | 22 | 9 | 3 | 10 | 34-32 | 30 |
| 9.ფრაიბურგი | 22 | 9 | 3 | 10 | 28-39 | 30 |
| 10.მაინცი | 22 | 8 | 4 | 10 | 31-37 | 28 |
| 11.აუგსბურგი | 22 | 7 | 6 | 9 | 21-28 | 27 |
| 12.შალკე | 21 | 7 | 5 | 9 | 25-22 | 26 |
| 13.გლადბახი | 21 | 7 | 5 | 9 | 23-29 | 26 |
| 14.ვოლფსბურგი | 22 | 6 | 4 | 12 | 20-33 | 22 |
| 15.ვერდერი | 22 | 6 | 4 | 12 | 28-43 | 22 |
| 16.ჰამბურგი | 22 | 5 | 5 | 12 | 21-45 | 20 |
| 17.ინგოლშტადტი | 21 | 5 | 3 | 13 | 19-32 | 18 |
| 18.დარმშტადტი | 22 | 3 | 3 | 16 | 15-43 | 12 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანოვერი-არმინია .................... 2:2
ფორტუნა-ჰაიდენჰაიმი ................. 0:0

### იტალია. სერია ა

ნაპოლი-ატალანტა ..................... 0:2
იუვენტუსი-ნაპოლი .................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 26 | 22 | 0 | 4 | 55-17 | 66 |
| 2.რომა | 25 | 18 | 2 | 5 | 54-22 | 56 |
| 3.ნაპოლი | 26 | 16 | 6 | 4 | 60-29 | 54 |
| 4.ატალანტა | 26 | 16 | 3 | 7 | 42-26 | 51 |
| 5.ინტერი | 25 | 15 | 3 | 7 | 40-24 | 48 |
| 6.ლაციო | 25 | 14 | 5 | 6 | 44-29 | 47 |
| 7.მილანი | 25 | 13 | 5 | 7 | 36-29 | 44 |
| 8.ფიორენტინა | 25 | 11 | 7 | 7 | 42-35 | 40 |
| 9.ტორინო | 25 | 9 | 8 | 8 | 46-40 | 35 |
| 10.სამპდორია | 25 | 9 | 7 | 9 | 30-31 | 34 |
| 11.კიევო | 25 | 9 | 5 | 11 | 26-34 | 32 |
| 12.სასუოლო | 25 | 9 | 3 | 13 | 35-41 | 30 |
| 13.უდინეზე | 25 | 8 | 5 | 12 | 28-34 | 29 |
| 14.კალიარი | 25 | 8 | 4 | 13 | 33-51 | 28 |
| 15.ბოლონია | 25 | 7 | 6 | 12 | 23-38 | 27 |
| 16.ჯენოა | 25 | 6 | 7 | 12 | 27-40 | 25 |
| 17.ემპოლი | 26 | 5 | 7 | 14 | 15-37 | 22 |
| 18.პალერმო | 25 | 3 | 5 | 17 | 21-49 | 14 |
| 19.კროტონე | 25 | 3 | 4 | 18 | 20-43 | 13 |
| 20.პესკარა | 25 | 2 | 6 | 17 | 27-55 | 12 |

### იტალია. სერია ბ

აველინო-ივეჩენცა .................... 3:1
ასკოლი-პიზა ......................... 2:4
ენტელა-კარპი ........................ 2:0
ნოვარა-სპეცია ....................... 2:1
სპალი-პერუჯა ........................ 2:0
ტერნანა-ლატინა ...................... 0:1
ტრაპანი-სალერნიტანა ................. 1:0
ფროზინონე-ვერონა .................... 1:0
ჩეზენა-პრო ვერჩელი .................. 1:2

### საფრანგეთი. 1 ლიგა

გენგამი-მონაკო ...................... 1:2
ნანსი-ტულუზა ........................ 0:0
ლილი-ბორდო .......................... 2:3
ანჟე-ბასტია ......................... 3:0
რენი-ლორიანი ........................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 27 | 19 | 5 | 3 | 78-25 | 62 |
| 2.ნიცა | 27 | 17 | 8 | 2 | 44-21 | 59 |
| 3.პსჟ | 26 | 17 | 5 | 4 | 50-18 | 56 |
| 4.ლიონი | 25 | 14 | 1 | 10 | 49-31 | 43 |
| 5.ბორდო | 27 | 11 | 9 | 7 | 35-33 | 42 |
| 6.სტ.ეტიენი | 26 | 10 | 9 | 7 | 31-21 | 39 |
| 7.მარსელი | 26 | 11 | 6 | 9 | 35-31 | 39 |
| 8.რენი | 27 | 9 | 9 | 9 | 26-31 | 36 |
| 9.ტულუზა | 27 | 9 | 8 | 10 | 31-28 | 35 |
| 10.გენგამი | 27 | 9 | 7 | 11 | 31-35 | 34 |
| 11.ანჟე | 27 | 9 | 6 | 12 | 25-33 | 33 |
| 12.ნანტი | 26 | 9 | 6 | 11 | 22-35 | 33 |
| 13.მონპელიე | 27 | 8 | 8 | 11 | 39-45 | 32 |
| 14.ლილი | 27 | 8 | 5 | 14 | 26-35 | 29 |
| 15.ნანსი | 27 | 7 | 7 | 13 | 18-34 | 28 |
| 16.კაენი | 26 | 8 | 4 | 14 | 26-43 | 28 |
| 17.მეცი | 25 | 8 | 6 | 11 | 25-45 | 28 |
| 18.დიჟონი | 27 | 6 | 9 | 12 | 37-44 | 27 |
| 19.ბასტია | 26 | 5 | 8 | 13 | 22-36 | 23 |
| 20.ლორიანი | 27 | 6 | 4 | 17 | 27-53 | 22 |

### საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-ვალანსიენი .................... 2:0

### ჰოლანდია. ერედივიზიონი

გრონინგენი-უტრეხტი .................. 2:3
ნაიმეგენი-სპარტა .................... 0:1
ექსელსიორი-ტილბურგი ................. 0:2
ჰერენვენი-როდა ...................... 3:0

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ტონდელა-მარიტიმუ .................... 1:1
ეშტორილი-სპორტინგი .................. 0:2
რიუ ავე-ფერეირა ..................... 0:0

### შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-როსი ....................... 1:0
მოზერველი-დანდი ..................... 1:5
პარტიკი-ჰართსი ...................... 2:0
სელტიკი-ჰამილტონი ................... 2:0
სტ.ჯონსონი-კილმანროკი ............... 0:2

### შვეიცარია. სუპერლიგა

თუნი-ვადუცი ......................... 4:3
გრასჰოპერსი-იანგ ბოიზი .............. 2:3

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-რაპიდი ................. 2:1
ადმირა-რიდი ......................... 1:0
აუსტრია-ალტახი ...................... 1:3
ზალცბურგი-მატერსბურგი ............... 1:0

### ბელგია. 1 დივიზიონი

შარლერუა-სტ.ტრუიდენი ................ 1:0
კორტრაიკი-ბევერენი .................. 1:2
ლოკერენი-ეუპენი ..................... 1:2
ვესტერლო-ოსტენდე .................... 0:4

### საბერძნეთი. სუპერლიგა

პლატანიასი-ასტერასი ................. 3:0
კერკირა-პანეთოლიკოსი ................ 0:0
ქსანთი-პანათინაიკოსი ................ 1:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ალანია-ადანა ........................ 4:1
აკხისარი-ანთალია .................... 3:0
ქონია-ტრაბზონი ...................... 1:1

### ჩეხეთი. სინოტ ლიგა

დუკლა-კარვინა ....................... 0:0
ბრნო-ლიბერეცი ....................... 1:0
ბოჰემინსი 1905-სლოვაცკო ............. 0:0
ზლინი-პლზენი ........................ 0:0 (0:0)
პრჟიბრჟამი-სპარტა ................... 1:8

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

პლოცკი-ზაგლებიე ..................... 2:1
**პლოცკის მე-2 გოლი**
**გიორგი მერებაშვილმა გაიტანა**
ლეხია-კრაკოვია ...................... 4:2
ვისლა-იაგელონია ..................... 3:1

### უკრაინა. პრემიერლიგა

ზორია-დინამო ........................ 1:2
ოლიმპიკი-სტალი ...................... 0:0
ოლექსანდრია-ვოლინი .................. 6:0

### დანია. სუპერლიგა

ჰორსენსი-ოდენსე ..................... 1:1

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა არის ათერომა

ეკა ირემაშვილი

ათერომა ცხიმგროვის ერთ-ერთი სახეა. ის მრგვალი ფორმის, უმტკივნეულო წარმონაქმნია, რომელიც ხშირად ერევათ აკნეში.

აკნე თმის ფოლიკულისა და ცხიმოვანი ჯირკვლების პათოლოგიაა. მის განვითარებას ხელს უწყობს ინფექციური დაავადებები, ავიტამინოზი, კანის არასაკმარისი ჰიგიენა, ჰორმონული დარღვევები, შაქრიანი დიაბეტი და ნერვულ-ფსიქიკური აშლილობა. მთავარი მიზეზია ცხიმოვანი ჯირკვლების ჭარბი სეკრეცია.

მედიკოსები მოსახლეობას ურჩევენ, რომ სახეზე ნებისმიერი ტიპის წარმონაქმნის შემთხვევაში მიმართონ ექიმს, მოერიდონ მექანიკურ გაღიზიანებას, ვინაიდან შეიძლება განვითარდეს საკმაოდ სერიოზული გართულებები. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ სახის არეში ვენებს არ გააჩნია სარქველები, რის გამოც ინფექცია ვრცელდება თავის ტვინში. საზოგადოებაში ცხიმგროვა ასოცირდება კანის დაავადებასთან და მიმართავენ დერმატოლოგს, თუმცა ზოგჯერ მედიკამენტური მკურნალობა შედეგს არ იძლევა და საჭიროა ქირურგიული ოპერაცია. ბევრ ადამიანს აინტერესებს, საშიშია თუ არა ცხიმგროვა და რა დროს არის საჭირო ქირურგიული ოპერაცია.

ამ თემაზე, პაპილომა ვირუსსა და ჰაიმორიტის შესახებ ქირურგიის ეროვნული ცენტრის ყბა-სახის ქირურგი შოთა ლობჟანიძე საუბრობს.



შოთა ლობჟანიძე

**შოთა ლობჟანიძე:**

– სახის არეში ცხიმგროვები წარმოადგენს კლასიკურ კისტას, რომელსაც გააჩნია თავისი კაფსულა და შიგთავსი. შიგთავსი არის თხელი, ფაფისებური, მოყვითალო მასა. ათერომა არის ცხიმოვანი ჯირკვლების გამომტანი სადინრის დახშობის შედეგად გამოწვეული წარმონაქმნი, რომელიც არ მიეკუთვნება სიმსივნეს, მიეკუთვნება ეპიდერმულ კისტას. ეს უკანასკნელი ხშირად ეშლებათ ლიპომაში, რომელიც ცხიმოვანი ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნეა. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ხშირად კლინიკური დიაგნოსტიკა რთულდება და საჭიროა ჩატარდეს ციტოლოგიური კვლევა, ხდება შიგთავსის ამოქაჩვა და მიკროსკოპულად მისი დათვალიერება.

ათერომა შეიძლება გახდეს ანთებადი და დაჩირქდეს. ამ დროს ვლინდება ტკივილი, შეშუპება და იშვიათ შემთხვევაში ტემპერატურის მომატება.

***– რატომ ჩნდება ცხიმგროვა სახის არეში?***

– ათერომა ხშირად ჩნდება პრობლემური, ცხიმოვანი კანის მქონე პაციენტებში. ამასთან, სხვა გამომწვევი მიზეზებია მეტაბოლიზმის დარღვევა, არასწორი კვების რაციონი, ჭარბი დოზით ცხიმის შემცველი პროდუქტები.

***– რა შემთხვევაში კეთდება ცხიმგროვის გამო ქირურგიული ოპერაცია?***

– ათერომას ვმკურნალობთ ადგილობრივი ანესთეზიის ქვეშ, წარმონაქმნის ამოკვეთით. აღსანიშნავია, რომ მედიკამენტური მკურნალობა შედეგს არ იძლევა. ასევე გასათვალისწინებელია წარმონაქმნის ზომა. თუ ათერომა არის მცირე ზომის, პაციენტს არ უქმნის დისკომფორტს და არ იზრდება ზომაში, ქირურგიულ ჩარევას არ საჭიროებს. აუცილებელია, რომ წარმონაქმნი ამოკვეთის შემდეგ გაიგზავნოს ჰისტომორფოლოგიურ კვლევაზე. ანთებითი პროცესების დროს ვერ ხერხდება წარმონაქმნის გარსის სრულად მოცილება, რადგან ჩირქოვანი პროცესი შლის გარსის სტრუქტურას, რის გამოც ხშირია რეციდივები. სასურველია ათერომის ამოკვეთა ცივ, არაანთებად სტადიაში.

***– რა არის პაპილომა ვირუსი?***

– პაპილომა ვირუსი ძირითადად ვლინდება კანზე ან ლორწოვან გარსზე. ამ ვირუსით დაავადებულია მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 90%. როგორც წესი, ვირუსი ორგანიზმში არის რემისიის ანუ მიძინებულ ფაზაში და გამოვლინდება რაიმე სტრესის ან იმუნიტეტის დაქვეითების შედეგად. ეს კეთილთვისებიანი წარმონაქმნი ვლინდება პირის ღრუს იმ ადგილებში, სადაც ხშირია ლორწოვანი გარსის ტრავმატიზაცია, მაგალითად, ენა, ტუჩის კუთხეები, ლოყა, ლორწოვან გარსზე კბილების შეთანასოვნების პარალელურად, რომლის დროსაც შესაძლოა ლოყის ლორწოვანი გარსის ტრავმირება. იშვიათ შემთხვევაში, ხანდაზმულ ასაკში შეიძლება განვითარდეს მაგარ სასასა და ღრძილზე უხეში პროთეზის ხმარების დროს. პაპილომა არის ფუძეზე, ფეხზე მრგვალი ფორმის, უხეში ზედაპირის, წვრილმარცვლოვანი და რბილი კონსტიტენციის წარმონაქმნი, რომლის სისხლით მომარაგება არის ძალიან მაღალი და ხშირ შემთხვევაში სისხლმდენია, განსაკუთრებით – ტრავმის დროს. პირის ღრუს სხვადასხვა უბანში განსხვავდება მისი ფორმა და შეფერილობა. ლორწოვანზე არის შედარებით ღია ფერის, ხოლო ტუჩების წითელ ყაეთანსა და კანზე – შედარებით მუქი.

***– როგორია პაპილომა ვირუსის გადაცემის გზები და რისკფაქტორები?***

– პაპილომა ვირუსი გადადის სისხლით, ნაკაწრისა და ჭრილობაში შეღწევის გზით. ჩვენს კლინიკაში პაპილომას ვმკურნალობთ ქირურგიული გზით. ამოკვეთის შემდეგ აუცილებელია, წარმონაქმნი გაიგზავნოს მორფოლოგიურ კვლევაზე.

***– რას გვეტყვით ჰაიმორიტის შესახებ?***

– ჰაიმორის წიაღები სახის არეში ძვლოვანი ვაკუუმია, რომლებიც ამოფენილია ლორწოვანი გარსით. მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ჩასუნთქული ჰაერის გათბობა. ჰაიმორიტები არსებობს რამდენიმე გენეზის: ოდონტოგენური – კბილისგან გამოწვეული, რინოგენული – ვირუსული ან ბაქტერიული გენეზის, ჰემატოგენური – ტრავმის შედეგად ჰაიმორის წიაღში დარჩენილი სისხლის ან უცხო სხეულის მიერ გამოწვეული.

ყბა-სახის ქირურგიაში ძირითადად მოგვმართავენ ოდონტოგენური ჰაიმორიტების დროს. ოდონტოგენური ჰაიმორიტის ინფექციის წყაროა ზედა ყბაზე არსებული ძირითადი საღეჭი კბილები 15, 16, 17, 18 – 25, 26, 27, 28 კბილები. აღნიშნული კბილების ფესვების მწვერვალები ხშირ შემთხვევაში ანატომიურად ნორმაში ვრცელდება ჰაიმორის წიაღში, შესაბამისად, ანთებითი პროცესების გადასვლა ჰაიმორის წიაღში მარტივია. ანთებითი პროცესები ჰაიმორიტების დროს ძირითადად გვხვდება ქრონიკულ ან ქრონიკულ გამწვავებულ სტადიაში. მწვავე, ანუ დაწყებით ფაზაში არ აღინიშნება ჩივილები. საავსებით შესაძლებელია, რომ პაციენტმა ჰაიმორიტის შესახებ შეიტყოს სტომატოლოგთან ვიზიტის დროს, რენტგენოლოგიური კვლევების შედეგად. რაც შეეხება ქირურგიულ მეთოდს, ოპერაციული ჩარევა ხდება ჰაიმორის წიაღის გახსნითა და შიგთავსის ანთებადი ქსოვილის ევაკუაციით ანუ გამოტანით. ოდონტოგენური ჰაიმორიტების მკურნალობა კონსერვატიულად უშედეგოა.

***– რა ჩივილები აქვს პაციენტს ოდონტოგენური ჰაიმორიტების დროს?***

– ქრონიკული, გამწვავებული ფორმის დროს პაციენტს, პირველ რიგში, აწუხებს ტკივილი, იშვიათ შემთხვევაში – ლოყის არეში შეშუპება და ტემპერატურის მატება, ასევე დილით ცხვირის ნესტოდან, შესაბამის მხარეს, უსიამოვნო სუნის გამონადენი. ანამნეზში პაციენტს შესაბამის მხარეს აქვს კბილის ტკივილი.

## გორბაჩოვი გერმანიაში ვილას ყიდის

საბჭოთა კავშირის ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა გასაყიდად გამოიტანა თავისი ვილა გერმანიაში, რომელიც ქალაქ ტეგერნზეში მდებარეობს. ამ ინფორმაციას გერმანული პრესა ავრცელებს.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვილა, რომელიც გორბაჩოვმა დაახლოებით ათი წლის წინ შეიძინა, ტეგერნზეს ტბის ნაპირთან მდებარეობს.

სამსართულიანი ვილის ფართობი 600 კვადრატულ მეტრს შეადგენს, ხოლო მის გარშემო მდებარე ტერიტორიის ფართობი 2,6 ათასი კვადრატული მეტრია. ვილა 1908 წელს არის აშენებული და პირველად მას რესტავრაცია ასი წლის შემდეგ ჩაუტარდა.

გერმანული პრესა გორბაჩოვის ვილის ღირებულებას არ ასახელებს, თუმცა, სხვადასხვა მონაცემით, მისი ფასი რამდენიმე მილიონ ევროს შეადგენს.

## კალეიდოსკოპი

## ბირთვულ ბუნკერში კანაფის ნათესები აღმოაჩინეს

ბრიტანეთის პოლიციამ მარიხუანის რამდენიმე ათასი ნარგავი აღმოაჩინა 1980-იანი წლების მიწისქვეშა ბუნკერში, რომელიც ქვეყნის სამხრეთ ნაწილში უილტშირის საგრაფოში მდებარეობს და რომელიც ბირთვული ომისთვის შეიქმნა.



ბუნკერში დათესილი კანაფის საერთო ღირებულება მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენდა. პოლიციის წარმომადგენლებმა ბუნკერში შეღწევა 23 თებერვლის ღამეს გასაღებების გამოყენებით მოახერხეს, რომელიც იქიდან გამოსულ სამ 27, 30 და 45 წლის მამაკაცს ჩამოართვეს. მარიხუანა კიდევ სამ მამაკაცს მოჰყავდა. ისინი პოლიციელებმა შიგნით აღმოაჩინეს.

– დარწმუნებული ვარ, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი პლანტაციაა მათ შორის, რომლებიც უილტშირში არსებობს. მოხარული ვარ, რომ ამ პროცესის შეჩერება შევძელით, – აღნიშნა პოლიციის ინსპექტორმა პოლ ფრანკლინმა.

მისი თქმით, ბუნკერში 20-მდე ოთახია, რომელთა სიგრძე – 60, ხოლო სიგანე 21 მეტრია. ინსპექტორმა ასევე განაცხადა, რომ აღმოჩენილი ნარკოტიკის ზუსტ წონაზე დასკვნების გამოტანა ჯერ ნაადრევია.

## მელანი ტრამპს ორეული მსახიობი ჰყავს

ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გაავრცელა ინფორმაცია მსახიობზე, რომელიც ძალიან ჰგავს აშშ-ის პირველ ლედის მელანი ტრამპს.



მისი სახელია მირა ტცური. ის ძალიან ჰგავს დონალდ ტრამპის მეუღლეს. მას ხშირად იწვევენ სხვადასხვა ღონისძიებაზე, როგორც პირველი ლედის პაროდისტს.

აღსანიშნავია, რომ ხშირად ის „ნაყალბევი“ დონალდ ტრამპის თანხლებით ჩნდება. ერთ ასეთ გამოჩენაში ტცურს 3 ათას დოლარს უხდიან.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ებრაული წარმოშობის მსახიობი ნიუ იორკში ცხოვრობს და მან უკვე მოასწრო რვა ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. ასევე თავად მსახიობი მიიჩნევს, რომ მისი აქცენტი მეტად წააგავს მელანის აქცენტს, ვინაიდან ორივე აშშ-ში გაიზარდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 27 თებერვლისთვის



**ვერძი** – პარტნიორებისგან იმედგაცრუებას ელოდეთ. ემოციები მძლავრობს. თავი შეიკავეთ. **კურო** – აქტიურობა სათანადო შედეგს გამოიღებს. აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა. მიზანს მიაღწევთ. **ტყუპები** – ნურავის მისცემთ უფლებას, საქმეში ხელი შეგიშალოთ. საკუთარი ინტერესები წინა პლანზე დააყენეთ. **კირჩხიბი** – დასვენება დაივიწყეთ და აქტიურად იცხოვრეთ. დაეხმარეთ ახლობლებს. **ლომი** – პირად ცხოვრებაში კონფლიქტს ელოდეთ. სულიერ დისკომფორტს განიცდით. **ქალწული** – წონასწორობა შეინარჩუნეთ. დაელოდეთ ხელსაყრელ დროს. ერიდეთ ახალ ნაცნობობას. **სასწორი** – გულახდილობა სასურველი არ არის. ახალგაცნობილი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში ნეგატივს შემოიტანს. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა კარიერული წინსვლის თვალსაზრისით. სიყვარულში წარმატება გელით. **მშვილდოსანი** – ოჯახში ჰარმონია სუფევს. ნუ აჰყვებით ჭორებს. **თხის რქა** – ცდუნება დიდია. საღი აზრი შეინარჩუნეთ. პოზიციებს ნუ დათმობთ. **მერწყული** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. გრძელვადიანი გეგმები თამამად შეიმუშავეთ. **თევზები** – ყურადღებით იყავით საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. გაუფრთხილდით საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## სკანვორდი



1. გენიოსზე იტყვიან; 2. წარჩინების ნიშანი; 3. ერთგვარი გომბეშო; 4. თეფში; 5. ბილიარდის ჯოხი; 6. ავი სული; 7. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 8. იტალიური ფიჭვი; 9. მოკლე ორლესული მახვილი; 10. დედალოსის ურჩი შვილი (ბერძნული მითოლოგია); 11. ალგორითმული ენა; 12. საერთაშორისო პოლიტიკური ხელშეკრულება; 13. ზოგი მცენარის ჩანასახი მის გასამრავლებლად; 14. ცილისმწამებლური ნაწარმოები; 15. ჯეი ...; 16. ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ქოხი; 17. ბუნებრივი საღებავი; 18. ბელგიელი კომპოზიტორი (1858-1931); 19. კედლის სანათი; 20. ინგლისური ლუდი; 21. აშშ-ს პოლიტიკური მოღვაწე (1908-1957); 22. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში; 23. აზნაურზე მაღლა მდგომი; 24. აკრძალვა; 25. სპორტის სახეობა; 26. ველის ფოცხვერი; 27. ნოტი; 28. ჰოლანდიის კუნძული მცირე ანტილის არქიპელაგში; 29. ირანის ფულის ერთეული; 30. მსახიობი; 31. ფრანგული ყველი; 32. ქართული გაზეთი; 33. ველური ცხვარი; 34. ესპანური და პორტუგალიური სამანძიანი ხომალდი ძველად.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გეორგიკა; 2. ეტალონი; 3. ალილო; 4. ბასკეთი; 5. მერჩულე; 10. სოლოლაკი; 11. ქსენოფობია; 12. ინდიანა; 15. ინდონეზია; 16. ალონსო; 17. „ფიდელიო“; 20. ვეკუა.

**თარაზულად:** 6. ბერიტაშვილი; 7. „კაიზერი“; 8. პრომილე; 9. ჭიბონი; 13. პესო; 14. ასკანა; 18. ვილსდორფი; 19. ჰიუგო; 21. დერბი; 22. კოვბოი; 23. ქონდაქარი; 24. კვარიათი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. აპენინი; 3. ბეისბოლი; 4. ინვესტორი; 5. პოლკი; 6. ელარჯი; 8. ელენთა; 11. სიმბოლო; 14. სტალაგმიტი; 15. კვარიათი; 16. რეზერვატი; 17. კომცია; 19. რომანსი; 21. ჯიხვი; 22. ფხოვი.

**თარაზულად:** 1. ჰამბურგი; 5. პიკე; 7. ოფელია; 9. ბერიტაშვილი; 10. ამსტელი; 12. აჯამეთი; 13. პრობსტი; 16. რელიკვია; 17. კილი; 18. წრუტო; 20. კლარნეტი; 22. „ფიატი“; 23. კაპრიზი; 24. ასკოტი; 25. ვოლტი.

# „აეროსმიტის“ კონცერტზე დასასწრები ბილეთები 3 საათში გაიყიდა

20 მაისს საქართველოში ლეგენდარული როკ ჯგუფი „აეროსმიტი“ ჩამოვა და კონცერტს გამართავს. კონცერტი ჯგუფის ევროპული ტურნეს ფარგლებშია დაგეგმილი.

ბილეთების გაყიდვა 25 თებერვალს დაიწყო და ზუსტად 3 საათში ბილეთების 99 პროცენტი გაიყიდა. ინტერნეტში გაჩნდა მოსაზრებები, რომ კონცერტის ბილეთებს გადამყიდველები ორმაგ ფასებში გაყიდიან. ბილეთების რიგში მდგომმა მსურველებმა უბილეთოდ დარჩენა გააპროტესტეს ტი დაფიქსირდა.

საქართველოში „აეროსმიტის“ კონცერტზე დასასწრები ბილეთების ფასები ასე განისაზღვრა – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ბილეთები 40 ლარი ღირდა, ბლექ სი არენას მესამე სექცია – 50 ლარი, მეორე სექცია – 100 ლარი, ხოლო პირველი სექცია – 200 ლარი.

გუგლ ანალიტიკის მონაცემების მიხედვით, საქართველოს გარდა, აქტივობის ძალიან მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მეზობელი ქვეყნე-




და ბილეთების გაყიდვის საიტები ბარიგობაშიც დაადანაშაულეს.

საქართველოში „აეროსმიტის“ კონცერტის ბილეთების მინიმალური ღირებულება 50 ლარიდან განისაზღვრა, რაც უპრეცედენტოდ დაბალი ფასია იმ ქვეყნებს შორის, სადაც „აეროსმიტს“ წელს 18 კონცერტის გამართვა აქვს დაგეგმილი.

ამ ტურნეს ფარგლებში ყველაზე დაბალი ფასი, საქართველოს შემდეგ, ქალაქ ბარსელონაში 171 ლარის ეკვივალენ-

ბიდან – სომხეთიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან.

გაიზარდა დაინტერესება შავი ზღვის სანაპიროს სასტუმროებში განთავსებაზე, რაც, ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ხელს შეუწყობს 2017 წლის ზაფხულის ტურისტული სეზონის გახანგრძლივებას.

აეროსმიტი საქართველოში ჩექ ინ ჯორჯიას ფარგლებში ჩამოდის. ჯგუფის კონცერტი შეკვეთილში ბლექ სი არენაზე ჩატარდება.

# მაია ასათიანის გოგონა საქართველოში ჩამოასვენეს



გადაცემა „პროფილის“ წამყვანის მაია ასათიანის გოგონა, 18 წლის ნუცა მახვილაძე, საქართველოში ჩამოასვენეს.

ნუცა საფრანგეთში საავადმყოფოში გარდაიცვალა. გოგონა იქ ცხოვრობდა და ამერიკულ უნივერსიტეტში პიარისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე სწავლობდა.

ნუცა მენინგოკოკური ინფექციით საავადმყოფოში კომატოზურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად დამძიმების გამო მაია ასათიანი შვილთან იმავე დღეს სასწრაფოდ გადაფრინდა. სამწუხაროდ, ექიმებმა გოგონას გადარჩენა ვერ შეძლეს.

– პარიზში მთელი უნივერსიტეტი ტიროდა თურმე ნუცას... გოგოს, რომელიც სულ იღიმოდა, – წერს სოციალურ ქსელში ნანუკა ჟორჟოლიანი.

18 წლის ნუცა მახვილაძეს სამშაბათს დაკრძალავენ.

# მარო მაყაშვილის ბაღში 25 თებერვლის გმირების მემორიალი გაიხსნება

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებულ მარო მაყაშვილის სახელობის ბაღში სულ მალე 25 თებერვლის გმირების მემორიალი გაიხსნება.

ინფორმაციას ამის შესახებ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, პოეტი და მწერალი გიორგი კეკელიძე ავრცელებს:

– ეს დღე მხოლოდ სიმბოლური არა, პრაქტიკული დღეცაა – შეხსენების დღე, რომ თავისუფლება ადამიანისა და სახელმწიფოსთვის უმთავრესი მოცემულობაა და ის, რის გამოც ჩვენმა წინაპრებმა თავის გაწირეს, ყოველდღიურ ჩვევად უნდა გვექცეს.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მარო მაყაშვილის ბაღში, 25 თებერვლის გმირების მემორიალი გაიხსნება. ამავდროულად, იქმნება ელექტრონული ბაზა, სადაც ამ ადამიანებისა და მათი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იქნება წარმოდგენილი.

# ილო ბეროშვილი „იმედიდან“ გაათავისუფლეს



ტელეკომპანია „იმედმა“ ილო ბეროშვილი გაათავისუფლა.

მსახიობი ფართო საზოგადოებამ „ჯეოსელის“ რეკლამებით გაიცნო. „კაცი, რომელიც ბევრს ლაპარაკობს“ – ასე უწოდეს ილოს და სულ მალე მისმა პოპულარობამაც პიკს მიაღწია.

ილო ბეროშვილმა სხვადასხვა პროექტში მიიღო მონაწილეობა, ნუცა ბუზალაძესთან ერთად „ორი ვარსკვლავის“ მონაწილე იყო, დუტა სხირტლაძესთან ერთად მიჰყავდა მუსიკალური შოუ „ერთი ერთში“, მოგვიანებით შალვა რამიშვილის შოუს მსახიობი გახდა, საბოლოოდ კი – შოუს წამყვანიც და ილო ბეროშვილის შოუს უძღვებოდა.

რატომ გაუშვეს ტელეკომპანია „იმედიდან“ ილო ბეროშვილი და დაიხურა თუ არა ილო ბეროშვილის შოუ, ამ ეტაპზე უცნობია.

# გიორგი უშიკიშვილი: „დაწესდეს ქართული ხალხური სიმღერის დღე“



ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელი და მომღერალი გიორგი უშიკიშვილი გამოდის ინიციატივით, რომ დაწესდეს ქართული ხალხური სიმღერის დღე.

ამ დღედ მას ქართულ კულტურაში გამორჩეული მოღვაწის ედიშერ გარაყანიძის დაბადების დღე მიაჩნია, რომელსაც წელს 60 წელი შეუსრულდებოდა.

– ყოველთვის მინდოდა და ახლაც დიდი სურვილი მაქვს, დაწესდეს ქართული ხალხური სიმღერის დღე და ამ დღეს განსაკუთრებული ღონისძიებები გაიმართოს.

ვფიქრობ, კარგი იქნება, ეს დღე იყოს 24 თებერვალი – ედიშერ გარაყანიძის დაბადების დღე. ედიშერის მოღვაწეობა იყო XX საუკუნეში გარდამტეხი ხალხური სიმღერის შემსრულებლობის კუთხით და არა მარტო. იქნებ ვცდები, მაგრამ, არა მგონია, ცუდი აზრი იყოს.

თუ მეთანხმებით, შემომიერთდით და გავაერთიანოთ ძალისხმევა. წელს ედიშერის დაბადების საიუბილეო წელია და, თუ წელსვე მოხერხდება, ძალიან კარგი იქნება, – წერს გიორგი უშიკიშვილი.

# ვახტანგ ჭაბუკიანის განახლებული მუზეუმი იხსნება



27 თებერვალს ვახტანგ ჭაბუკიანის 117-ე დაბადების დღეზე მისი განახლებულ სახლ-მუზეუმი გაიხსნება, რომელიც მარჯანიშვილის მოედანზე, გერმანელი ტყვეების მიერ აშენებულ სახლში მდებარეობს.

მუზეუმში განახლებული ექსპოზიცია გაიხსნება, კედელზე კი პირველად გაჩნდება ვარსკვლავი, რომელიც ცნობილი ქართველი საბალეტო მოცეკვავის სახელს ატარებს.

ვახტანგ ჭაბუკიანმა ამ სახლში 45 წლის განმავლობაში გარდაცვალებამდე იცხოვრა.

ვახტანგ ჭაბუკიანი სცენას მას შემდეგ დაემშვიდობა, რაც მისი დისშვილი, ბალერინა ეთერ მაჭავარიანი, ტრაგიკულად დაიღუპა.

ბალერონის სიცოცხლის ბოლო წლებში განსაკუთრებით ბევრი ცუდი მოხდა – მას კონფლიქტი ჰქონდა თბილისის ოპერის თეატრის მესვეურებთან, რის გამოც ის თეატრიდან გაუშვეს.

ვახტანგ ჭაბუკიანი ამას მთელი ცხოვრება ძალიან განიცდიდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

## აშშ-ში 435-მილიონიანი ჯეკპოტი გათამაშდა



აშშ-ში, ინდიანის შტატის ერთ-ერთ ოლქში, გაიყიდა ლატარიის ბილეთი, რომლის მოგებამ 435 მილიონი დოლარი შეადგინა. ამის თაობაზე ინფორმაცია ლატარიის გათამაშების ორგანიზაციის წარმომადგენელმა დენის პოუზბრომ გაავრცელა.

ბილეთი ქალაქ ლაფეიეტში გაიყიდა, რომელიც შტატის დედაქალაქ ინდიანაპოლისიდან 60 კილომეტრში მდებარეობს. ბილეთის მფლობელის ვინაობა არ ვრცელდება. მას 180 დღე აქვს მოგებული თანხის მისაღებად.

ლატარიის წარმომადგენლის თქმით, გამარჯვებულს მოგებული თანხის ვინმესთვის გაყოფა არ მოუწევს, ვინაიდან მოგებული მხოლოდ ერთი ბილეთი აღმოჩნდა.

## სახელმწიფო მდივანმა ვაშინგტონში ბინა ივანკა ტრამპის სახლის მახლობლად შეიძინა



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რეკს ტილერსონმა ბინა ვაშინგტონის ფეშენებელურ რაიონ კალორმაში 5,6 მილიონ დოლარად შეიძინა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი პრესა ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ ტილერსონის მიერ შეძენილი ბინის მეზობლად მდებარეობს ქვეყნის ექსპრეზიდენტ ბარაკ ობამას სახლი, ასევე მოქმედ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ქალიშვილის ივანკასა და მისი მეუღლის ჯარედ კუშნერის სახლი.

ტილერსონის მიერ შეძენილი სახლი ნეოკოლონიალური სტილის ნაგებობაა. მასში ოთხი საძინებელი და სააბაზანო ოთახებია.

## დრონმა სერფერზე ზვიგენის თავდასხმის მცდელობა გადაიღო

უპილოტო საფრენმა აპარატმა გადაიღო ვიდეო, რომელზეც ასახულია, ავსტრალიის სანაპიროსთან კინაღამ როგორ დაესხა თავს სერფერს დიდი თეთრი ზვიგენი. აღნიშნული ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე იქნა განთავსებული.



ინციდენტი ქალაქ ბალინის მახლობლად მოხდა, ვიდეო კი სამხრეთ უელსის შტატის ხელისუფლების კუთვნილმა უპილოტო საფრენმა აპარატმა გადაიღო, რომელიც სწორედ თეთრი ზვიგენების გადაადგილებას ადევნებს თვალს.

ჩანაწერზე ჩანს, რომ მტაცებელმა თევზმა, რომელიც, სავარაუდოდ, მისდევდა სერფინგისტს, რომელმაც ტალღა დაიჭირა, სულ ახლოს, ერთ მეტრში ჩაუარა მეორე სერფერს, რომელიც მორიგი ტალღის მოლოდინში წყალში ფეხებს უდარდელად ატყაპუნებდა. სავარაუდოდ, ზვიგენმა შენიშნა მამაკაცი, რომელმაც ვერაფერი დაინახა და მისკენ გაცურა, თუმცა ბოლო მომენტში თავდასხმა გადაიფიქრა და მხარი იცვალა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პროგრამა

**ორშაბათი**
**27 თებერვალი**

**07.00** დოკ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.30** "x სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 03.30** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** მხ/ფ "**მოთამაშე ქალი**" (კ.კლაინი) **00.40** მხ/ფ "**სამოთხეში დაბრუნება**"(ვ.ვონი)

**08.00** დ/ფ "შუა საუკუნეების მანერები" **09.00** დ/ფ "ჩირლიდერები" **10.00** დ/ფ "ინკების მარილი" **18.00** დ/ფ "ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**ბიჭი კალიფორნიიდან**" (მ.შინი)

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" 8 სერ. **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** იუმორინა **23.30** სერ. "**იმედის ქარი**" 4 სერ. **00.45** მხ/ფ "**ბრწყინვალე გონება**" **03.30** მხ/ფ "**იმიტაციის თამაში**"

**06.00, 16.55** სერ. "**ოქროს გალია**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** ქ.მხ/ფ "**მონანიება**"

**09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** მხ/ფ "**ოქროს კომპასი**" **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **21.00** ოსკარი 2016 დაჯილდოება **22.00** მხ/ფ "**სიცრუეთა ერთობლიობა**" **00.25** მხ/ფ "**სისხლიანი ალმასი**" **03.00** მხ/ფ "**სირიანა**"

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატრიკი-ლოცვა ეშმაკის განდევნისა **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** დ/ფ "მეფე და ფერი" **12.50** წმინდა ათონის მთა **13.10** საღვთისმსახურო წელიწადი-დეკანოზი თეიმურაზ თათარაშვილი **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** თბილისის ტაძრები "სიონი" **15.10** ქართული ან/ფ **15.30** წმინდა ანდრია კრიტელის დიდი კანონი-(საკითხავი) **15.50** სპექტაკლი "**ეს არ უნდა მომხდარიყო**" **16.50** წმინდა ანდრია კრიტელის დიდი კანონი (მსახურება) **17.25** დ/ფ "მცხეთა წმინდა ქალაქი-ნებითა ღმრთისაითა ხელითა კაცობრივითა" **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.30** ბიბლია ბავშვებისათვის **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **19.25** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება-გიორგი გვასალია **20.40** ძილი ნებისა "ბეთლემის ვარსკვლავი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** პატერიკირატომ აღიკვეცა ბერად ერთი ქრისტიანი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** დ/ფ "ისტორიანი-ლაშა გიორგი" **22.35** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი **01.00** სათავეებთან "ქართული ასომთავრული" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.30** ანიმაცია "მაშა და დათვი" **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დისქავერი "ქალი,კაცი,ბუნება" **14.30, 15.30** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 20.55** სერ. "**ვერონიკა**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** სერ. "**გემი**" **23.15** სერ. "**ესკობარი**" **1.30** "კონტაქტი"

**პროგრამები იბეჭდება საagენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**27 თებერვლისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5883

ევრო — 2.7402

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2470

100 რუსული რუბლი — 4.4717

## ამინდის პროგნოზი 27 თებერვლისთვის







## 28 თებერვლიდან

### ჩემი პირველი პოეზიის ანთოლოგია

წიგნში შეტანილია მრავალფეროვანი ილუსტრაციებით დატვირთული 87 ქართველი პოეტის 293 საბავშვო ლექსი, რომლებიც დალაგებულია ასაკისა და თემატიკის მიხედვით. იგი დაეხმარება ბავშვს სიტყვათა მარაგის დაგროვებასა და აქტიურად გამოყენებაში.

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**

## 25 თებერვლიდან

### გაბრიელ გარსია მარკესი

### ათი დღე ზვიგენების პირისპირ




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 1 მარტიდან

### რეზო თაბუკაშვილი

### 13 დღე




**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## ნიუ იორკის ქუჩებში ობამას გამოჩენამ ფურორი მოახდინა



აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ბარაკ ობამას ნიუ იორკის ქუჩებში გამოჩენამ გამვლელებს შორის ნამდვილი ფურორი მოახდინა.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ყოფილ მეთაურს, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ უმთავრეს ქუჩაზე მდებარე ბიზნეს-ცენტრს ეწვია, თვითმხილველები ოვაციებით შეხვდნენ. ისინი საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ ობამას მიმართ და ტაშს უკრავდნენ ყოფილ პრეზიდენტს.

ბარაკ ობამას ნიუ იორკში ვიზიტის მიზანი უცნობია.

## იუმორი



ბიჭი გოგოს ეკითხება:
– გოგონი რამდენი წლის ხართ?
– არ გეტყვით.
– პირველი ორი ციფრი მაინც მითხარით!

●●●

საავადმყოფოში ექიმს ქალი ეკითხება:
– ექიმო, ავადმყოფი როგორ არის?
– ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, ინფარქტი, მოტეხილობები!
– შეიძლება, დაველაპარაკო?
– სამწუხაროდ, არა, ეს შეუძლებელია, მაგრამ, თუ მისთვის რაიმეს თქმა გსურთ, მითხარით და მე გადავცემ.
– თუ შეიძლება, ჰკითხეთ, მართვის მოწმობის გამოცდა ჩავაბარე?

●●●

მეტად მომხიბვლელი ქალი ექიმს ეუბნება:
– ექიმო, მეხსიერების პრობლემები მაქვს.
– მართლა? და ეგ რით გამოიხატება?
– ყველაფერი, რაც კი ჩემს თავს ხდება, ხუთ წუთში მავიწყდება.
– ჰოო, ეს სერიოზულია, მეტად სერიოზული. კარგი, გაიხადეთ და ტახტზე დაწექით.

●●●

ტრავმატოლოგთან პროქტოლოგი შედის, რომელსაც ხელი პაციენტის უკანალში აქვს გაჭედილი. ექიმმა შეხედა და ეუბნება:
– აქ ტრავმატოლოგიურია და არა თოჯინების თეატრი.

●●●

ჩინელს ეკითხებიან:
– აბა, როგორ მოგეწონა თბილისი?
– შესანიშნავია, სიმშვიდე და სიწყნარეა და ხალხიც ცოტაა...

●●●

ახალი ქიმიური იარაღი გამოიგონეს, „ვიაგრა-გაზი". საკმარისია, ის ბრძოლის ველს მოაფრქვიოთ და მტრის ჯარისკაცები ხოხვით ველარ მოგეპარებიან!

●●●

ქერათმიანი გოგონა ავტობუსში ავიდა, თავისუფალი ადგილი ვერ ნახა და ახალგაზრდა მამაკაცს ეუბნება:
– ადგილს ვერ დამითმობ?
– ვერა.
– ნამდვილი ღორი ხარ და იმიტომ!
– ღორი კი არა, ავტობუსის მძღოლი ვარ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## ვიქტორ ჰიუგო

# საბრალონი

| 23 თებერვლიდან ტომი I | 27 თებერვლიდან ტომი II | 2 მარტიდან ტომი III | 6 მარტიდან ტომი IV |
|---|---|---|---|
|  |  |  |  |
| ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი |

# ფაჩულია წარმატებით დაბრუნდა



ტრავმის გამო გამოწვეული 8-მატჩიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ზაზა ფაჩულიამ უკვე 2 მატჩი ითამაშა გოლდენ სტეიტის სასტარტო ხუთეულში და შედეგიანადაც გაისარჯა.

რაც მეომრებში გადავიდა, ქართველი ცენტრის მაქსიმუმი 3 დაფარება იყო. ლოს ანჯელეს კლიპერსთან მატჩში კი ზაზამ 4 დაფარება მოაგროვა, რაც პირადი რეკორდია.

ზაზამ კლიპერსთან საშინაო მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და მოედანზე ყოფნის უკვე მე-5 წუთზე 3 დაფარება ჰქონდა დაგროვილი. საბოლოოდ ფაჩულიამ 18 წუთი ითამაშა და დათმობილი დროის კვალობაზე საკმაოდ შედეგიანიც იყო: 6 ქულა, 6 მოხსნა, 4 დაფარება, 1 ჩაჭრა და 1 პასი. ზაზა შეტევაში ასპროცენტიანი იყო და 3

გაგრძელება მე-9 გვერდზე



## კეიტ მიდლტონი საზოგადოებას თავისი „ძველი" სამოსით წარუდგა

კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინი საზოგადოების წინაშე კვლავ თავისი „ძველი" სამოსით წარდგა. უელსში ვიზიტისთვის პრინც უილიამის მეუღლემ ფრანგული ბრენდის Paule Ka-ს კოსტიუმი შეარჩია, რომელშიც ის საზოგადოების წინაშე ჯერ კიდევ 2012 წელს წარდგა.

ყოფილი მის მიდლტონი შეხვდა ოჯახებს, რომლებმაც დახმარება მიიღეს ერთ-ერთი საქველმოქმედო ორგანიზაციისგან. კეტრინი 2016 წლის დეკემბრიდან სწორედ იმ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს, რომლის პატრონაჟიც მას დედოფალმა ელისაბედ II-მ გადააბარა. როგორც ჰერცოგინიას პრესმდივანმა განაცხადა, მას ეამაყება, რომ მისი უდიდებულესობის სამსახურს აგრძელებს.

რაც შეეხება საზოგადოების წინაშე „ძველი" სამოსით წარდგომას, კეტრინი ასე რეგულარულად იქცევა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. რაიმე სიტყვის მსგავსი სიტყვა (მაისი-დაისი); 7. ადამიანის სულიერ ძალთა ერთობლიობა; 8. კაუსტიკური სოდა; 9. სატრფიალო პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 10. მსხლის პარაზიტი მცენარე; 13. ... ჩეხოვი; 15. თავისებური მაღალი ხმა გურულ სიმღერებში; 18. ოხერი, ტიალი; 20. პატარა ზომის ცხენის ჯიში; 21. წყაროს წყალი; 23. საქონლის ექიმი; 24. მეგრული საჭმელი.

**შვეულად:** 1. იტალიური ყველი; 2. მინერალი; 3. ტენის მოყვარული რბილმერქნიანი ხე; 4. ტაძარი თბილისში; 5. პატარა ჩქარტემპიანი მუსიკალური ნაწარმოები; 11. სოფია ... (მომღერალი); 12. ახალი, დაუდუღარი ღვინო; 14. ერთეული ვექტორი; 16. ნაშრომის მოკლე შინაარსი დასკვნის სახით; 17. სპორტული რბოლა მოტოციკლებით; 19. ავაზა ანუ ...; 21. ბანქოს ერთგვარი თამაში; 22. ჭადრაკის ფიგურა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



ლურჯი წითელი ყვითელი შავი